პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 31 დეკემბერი, 1947 წ. № 260 (8044). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საუკეთესოდ გამოვაზამთროთ პირუტყვი — მოწინავე (1-ლი გვერდი).
უკრაინის სსრ 30-ე წლისთავის დღესასწაულის მომზადებისა და ჩატარების შესახებ უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება (1-ლი გვერდი).
პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საკავშირო საზოგადოებაში (1-ლი გვერდი).
ინფლაცია კაპიტალისტურ ქვეყნებში და ფულის რეფორმა სსრ კავშირში—„პრავდის“ მოწინავე (მე-2 გვერდი).
უკეთესად, მაღალნაყოფიერად ვიმუშაოთ 1948 წელს (მე-2 გვერდი).
კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატები (მე-3 გვერდი).
გიორგი ლეონიძე—სამგორი (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

საუკეთესოდ გამოვაზამთროთ პირუტყვი

საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ წელს სახელოვანი ფურცელი ჩასწერა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლის ისტორიაში. მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად სერიოზული წარმატებანია მოპოვებული მეცხოველეობის განვითარების საქმეში. მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება ჩვენს ხალხს არ ჩვევია. წინ კიდევ ბევრი სამუშაოა განსაკუთრებით პირუტყვის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების დარგში. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოვაზამთრებთ საქონელს. საკოლმეურნეო ფერმებისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის ახლა არ არსებობს იმაზე უფრო საპატიო ამოცანა, ვიდრე პირუტყვის საუკეთესოდ გამოზამთრებაა.

ზამთარი პასუხსაგები პერიოდია მეცხოველეობაში. ის კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და მეცხოველეობის ფერმა, რომელიც უზრუნველჰყოფს პირუტყვის კარგად გამოზამთრებას, მოიპოვებს წარმატებას საქონლის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. ზამთრისათვის საუკეთესოდ მომზადების მაგალითი მოგვცეს წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც დროულად მოიმარაგეს საქონლისათვის საჭირო უხეში საკვები, მაქსიმალურად გამოიყენეს ადგილობრივი რესურსები საქონლის ახალი სადგომების აშენებისა და ძველის შესაკეთებლად. ამ რაიონში დასუსტებული პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე. მომზადებული შეხვდნენ ზამთარს სიღნაღის, ლაგოდეხის, დმანისის, ორჯონიკიძის რაიონების კოლმეურნეობები და აფხაზეთის ასს რესპუბლიკა. წელს სერიოზული მუშაობაა გაწეული შირაქის საზამთრო საძოვრის კეთილმოსაწყობად. იქ აგებულია პირუტყვის 27 ახალი სადგომი, საქონელი უზრუნველყოფილია სასმელი წყლით, აღდგენილია ტარიბანას წყალსაქაჩავი. კარგი ინიციატივა გამოიჩინეს საგარეჯოს, წითელწყაროს, სიღნაღისა და ახმეტის რაიონების მოწინავე კოლმეურნეობებმა, რომლებმაც კოლმეურნეებისაგან მოამზადეს კადრები ვეტპერსონალის დასახმარებლად პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეცხოველეობის ზოგიერთ მუშაკს ზამთარმა მოუმზადებელს მოუსწრო. მაგალითად, დუშეთის რაიონი 1947-48 წლის ზამთრისათვის უხეში საკვებით უზრუნველყოფილია მხოლოდ 62,9 პროცენტით, თიანეთის რაიონი—60,3 პროცენტით. უხეში საკვები საკმარისი რაოდენობით არ აქვთ ყაზბეგის, თიანეთის, ახალქალაქის, ქარელის რაიონებს. თივა არ ეყოფათ მცხეთის, კასპის, გორის, ხაშურისა და სხვა რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებს.

შეუწყნარებელი მდგომარეობაა საზამთრო საძოვრებზე. მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვარზე დამზადებულია 70,1 ათასი ცენტნერი თივის სადაზღვეო მარაგი, გეგმის 18,1 პროცენტი. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არ არის აზერბაიჯანის საზამთრო საძოვრებზეც. არც საქონლის სადგომის მხრივ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიისა და აზერბაიჯანის სსრ საზამთრო საძოვრებზე ცხვრის ერთი ნაწილი ღია ცის ქვეშ იზამთრებს.

აქედან ჩანს, რომ საქონლის ნორმალურად გამოზამთრება მთელ რიგ რაიონებსა, კოლმეურნეობებსა და საზამთრო საძოვრებზე აშკარა საფრთხეშია. დასკვნა ერთია—მეცხოველეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებული არიან სასწრაფო ზომები მიიღონ დანაკლისი საკვების შესაძენად, ორგანიზებულად მოაწყონ საკვების მიზიდვა დანიშნულებისამებრ, დააჩქარონ საქონლის სადგომების მშენებლობა და რემონტი, უზრუნველჰყონ პირუტყვი თბილი, სუფთა და ნათელი ბინით. საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ საქონლის მოვლა, მტკიცედ განვახორციელოთ პროფილაქტიკური ღონისძიებანი და გამოვიყენოთ ზოოვეტერინარულ მეცნიერებათა ახალი მიღწევები დაავადების კერათა სრული ლიკვიდაციისათვის.

მეცხოველეობის ფერმებში, განსაკუთრებით საზამთრო საძოვრებზე ფართოდ უნდა გავაჩაღოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. საზამთრო საძოვრებზე რვა ათასამდე მწყემსი მუშაობს. საჭიროა მათ გავაცნოთ ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, სტალინური კონსტიტუციის დროშით მოპოვებული წარმატებანი და დავრაზმოთ ისინი მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულებამ მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობის მიღწევისათვის კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობებისა და ცხენსაშენების მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ მეცხოველეობის მუშაკები აღაფრთოვანა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. გაიზარდნენ ახალი კადრები, თავისი საქმის ჩინებული ოსტატები. მეცხოველეობის ამ მოწინავე ადამიანთა გამოცდილება, მათი მუშაობის მეთოდები ყველას კუთვნილება უნდა გავხადოთ.

მეცხოველეობის მუშაკები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი სიხარულით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობისა და ბოლშევიკური პარტიის ისტორიულ დადგენილებას ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმების შესახებ. ჩვენი ქვეყნისათვის მეცხოველეობის პროდუქტების უხვად მიცემა კიდევ უფრო აამაღლებს მშრომელთა კეთილდღეობის დონეს. ამიტომ მეცხოველეობის მუშაკებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ საქონლის მოვლის გასაუმჯობესებლად, ახალი ხუთწლედით დასახული გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

ზამთარი ძალაში შევიდა. საჭიროა სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ პირუტყვის გამოზამთრების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მთავრდება 1947 წელი. მომავალი წელი გავხადოთ მაღალი მოსავლიანობისა და მეცხოველეობის აღმავლობის წლიწადად, პირნათლად მოვიხადოთ ვალი საბჭოთა სამშობლოს წინაშე, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეები აღვნიშნოთ მეცხოველეობის დარგში მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებით, ყოველმხრივ დავაჩქაროთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ტემპი, მეცხოველეობის ფერმებსა და საბჭოთა მეურნეობებში მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის!

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ვ. ა. მალიშევი გაათავისუფლა სსრ კავშირის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მინისტრად დანიშნა ამხ. ივანე ისიდორეს-ძე ნოსენკო.

თბილი ამინდი მოსკოვში

რით არის გამოწვეული, რომ უკანასკნელ ხანს მოსკოვში თბილი ამინდებია? — ამ კითხვაზე პროგნოზების ცენტრალურ ინსტიტუტში საკდესის კორესპონდენტს აცნობეს:

დეკემბრის განმავლობაში მოსკოვში მეტწილად ღრუბლიანი, თბილი ამინდი იყო, ხშირი ნალექებით. ცალკეულ დღეებში თოვდა და ჭირხლი იყო. ამ ზამთარს მოსკოვში თოვლის საფარი გვიან შეიქმნა და სწრაფად იზრდებოდა, ახლა თოვლის მარაგი ამ პერიოდის ნორმას აღემატება.

ჰაერის ტემპერატურა დეკემბერში მრავალი წლის საშუალო ტემპერატურაზე მაღალი აღმოჩნდა.

6 დეკემბრამდე ძალიან თბილი ამინდი იყო—პლუს 2 გრადუსამდე, ე. ი. ჩვეულებრივზე 5-7 გრადუსით უფრო თბილოდ. შემდეგ დღეებში სუსტი ყინვები იყო: მინუს 1—მინუს 8 გრადუსი, ე. ი. აგრეთვე ჩვეულებრივზე უფრო თბილოდ. დეკემბრის მხოლოდ მესამე დეკადაში ჰაერის მინ-მალური ტემპერატურა—9 15 გრადუს ყინვამდე დაეცა. დეკემბერში ყველაზე დიდი ყინვა იყო 25-ს, როცა ჰაერის ტემპერატურამ მინუს 20 გრადუსამდე დაიწია. მაგრამ ამ ყინვამ მხოლოდ ერთ დღე-ღამეს გასტანა 26 დეკემბერს მკვეთრად დათბა და ჰაერის ყველაზე მაღალმა ტემპერატურამ დღისით 1 გრადუს სითბოს მიაღწია; ეს მხოლოდ 1 გრადუსით უფრო დაბალი იყო ჰაერის ყველაზე მაღალ ტემპერატურაზე, რაც კი ამ დღეს მოსკოვში შემჩნეული ყოფილა როდისმე (უკანასკნელი 74 წლის განმავლობაში).

მოსკოვში ამინდის ასეთი ხასიათი გამოწვეული იყო გაძლიერებული ციკლონური მოქმედებით და სამხრეთიდან — ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის რაიონებიდან ცენტრალურ ოლქებში და საერთოდ სსრ კავშირის ევროპულ ტერიტორიის დასავლეთ ნახევარში თბილი ჰაერის ხანგრძლივი დინებით. უკანასკნელ ხანს — 26-28 დეკემბერს მოსკოვში დამდგარი თბილი ამინდი აიხსნება დასავლეთიდან — ატლანტის ოკეანის თბილი ზედაპირიდან ჰაერის თბილი მასების დინებით. (საკდესი).

უკრაინის სსრ 30-ე წლისთავის დღესასწაულის მომზადებისა და ჩატარების შესახებ

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

კიევი, 29 დეკემბერი. (საკდესი). მიმდინარე წლის დეკემბერში სრულდება უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 30-ე წლისთავი. უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ვრცელი დადგენილება ამ ღირსშესანიშნავი თარიღის დღესასწაულის მომზადებისა და ჩატარების შესახებ. დადგენილებაში დაწვრილებითი ანალიზი აქვს გაკეთებული იმ უდიდეს ბრძოლას, რაც უკრაინელმა ხალხმა ჩაატარა ბოლშევიკების პარტიისა და მისი გენიალური ბელადების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ბოლშევიკების დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, გაფთრებულ კლასობრივ ბრძოლაში მემამულეებისა და კაპიტალისტების, ნაციონალისტური ბანდების, უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, უკრაინელმა ხალხმა საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის დახმარებით დაიცვა ოქტომბრის რევოლუციის დიადი მონაპოვარნი, დაიცვა თავისი მიწა-წყალი, თავისუფლება, თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

სამოქალაქო ომის მრისხანე წლებში, როცა იმპერიალისტ ინტერვენტების სკოროპადსკების, ვინიჩენკოების, გრუშევსკების, პეტლიურებისა და უკრაინელი ხალხის სხვა გამცემების დახმარებით აჯანყებული მუშების და გლეხების სისხლით რწყავდნენ უკრაინის მიწა-წყალს, დიდმა სტალინმა მოუწოდა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს: „უკრაინა თავისუფლება—იჩქარეთ მის დასახმარებლად!“ ამხანაგი სტალინი პირადად ჩაუდგა სათავეში უკრაინელი ხალხის ბრძოლას ინტერვენტების წინააღმდეგ, დენიკინის, ვრანგელის, პილსუდსკის არმიებისა და პეტლიურა-მახნოს ნაციონალისტური ბანდების წინააღმდეგ.

დადგენილებაში შემდეგ აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილის — საბჭოთა უკრაინის შექმნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ დიდი ოქტომბრის გამარჯვების მეოხებით, რომ უკრაინის სსრ 30-ე წლისთავი ორგანულად დაკავშირებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავთან. სსრ კავშირის ხალხებთან ძმურ მეგობრობაში ვითარდებოდა და მტკიცდებოდა უკრაინის სს რესპუბლიკა, რომელიც გახდა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე რესპუბლიკა. სტალინური ხუთწლედების მანძილზე უკრაინის სსრ მრეწველობის საერთო პროდუქცია 1913 წელთან შედარებით გაიზარდა თერთმეტჯერ, მანქანათმშენებელი მრეწველობა — 50-ჯერ, ლითონის დამმუშავებელი მრეწველობა—34-ჯერ და ქვანახშირისა — 3,7-ჯერ. აყვავდა უკრაინული საბჭოთა მეცნიერება და კულტურა.

დიდი სამამულო ომის წლებში უკრაინელმა ხალხმა ღირსეულად გაუძლო მკაცრ განსაცდელს და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად ბოლშევიკების პარტიისა და საყვარელი სტალინის წინამძღოლობით ასდგა დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად პარტიზანების საგმირო საქმეებით, ბოლშევიკური იატაკქვეშეთის გმირების უშიშრობითა და ლეგენდარული მამაცობით, შრომასა და ბრძოლაში შეუპოვრობით უკრაინელმა ხალხმა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად განადიდა თავისი მძლავრი და უძლეველი სამშობლო — სსრ კავშირი.

საბჭოთა არმიამ, რომელშიც იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შვილები, ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით გაანადგურა ჰიტლერული არმია და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან გაათავისუფლა საბჭოთა უკრაინა და სხვა ოკუპირებული ოლქები.

დიდი რუსი ხალხის, აგრეთვე სსრ კავშირის ყველა მოძმე ხალხის უდიდესი, ფასდაუდებელი დახმარების მეოხებით საბჭოთა უკრაინა წარმატებით იშუშებს ომით მიყენებულ ჭრილობებს, აღადგენს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას.

საბჭოთა უკრაინის მშრომელები, უკრაინის სსრ სახელოვან 30-ე წლისთავს ეგებებიან უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. გაცოცხლდა უკრაინის ენერგეტიკის გული — ვ. ი. ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელექტროსადგური, სადაც უკვე ახლა სრული სიმძლავრით მუშაობს სამი ტურბინი. უკრაინის სსრ 30-ე წლისთავის წინ ზაპოროჟიეს მშრომელებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს ცივი გლინვის დანადგარი. ნიკოპოლის მშრომელებმა აამუშავეს დანადგარი „დიდი შტიფელი“. ჩვენი ქვეყნის საავტომობილო მრეწველობა ახლა იღებს საჭირო ფოლადის ფურცელს, ხოლო ნავთის მრეწველობა — მილებს.

ნანგრევებიდან სდგება სოციალისტური ქვანახშირის დონბასი, რკინის მადნის კრივოი როგის აუზი. მოქმედ საწარმოთა მწყობრში ზედიზედ დგებიან უკრაინის შახტები, ბრძმედები და მარტენის ღუმელები, საგლინავი დაზგები, კოქს-ქიმიური ქარხნები.

უკრაინის კოლმეურნეებს, რომლებიც შეიარაღებული არიან ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის ბრძოლის სტალინური პროგრამით, თავიანთი წვლილი შეაქვთ საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში. დიდი სტალინის განსაკუთრებული მზრუნველობისა და იმ დახმარების მეოხებით, რაც უკრაინას სათესლე მასალით, სურსათითა და საფურაჟე სესხით, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და საწვავით აღმოეჩინა 1947 წლის გაზაფხულზე, უკრაინის კოლმეურნე გლეხობამ წარმატებით შეასრულა 1947 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმა. საბჭოთა უკრაინამ ვადაზე ადრე შეასრულა პურის ჩაბარების გეგმა.

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა უკრაინის სსრ 30-ე წლისთავის დღესასწაული ჩატარდეს 1948 წლის 25 იანვარს. უკრაინის კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს წინადადება მიეცათ 25 იანვრამდე ჩაატარონ მუშათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ გლეხთა საერთო კრებები, რომლებზეც მოისმენილ იქნება მოხსენებანი „უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 30-ე წლისთავის შესახებ, აგრეთვე სიტყვებით გამოვლენ სტახანოველები და ძველი კადრის მუშები, ძველი ბოლშევიკები, პარტიზანები, წითელგვარდიელები, სამოქალაქო და სამამულო ომების მონაწილენი.

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მთელი უკრაინის მშრომელებს მოუწოდებს რესპუბლიკის სახელოვანი იუბილე აღნიშნონ შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ქვანახშირისა და მადნის მოპოვების, ლითონის გამოდნობის გადიდებით, მისცენ ჩვენს ქვეყანას მეტი ნაგლინი, კოქსი, ელექტროენერგია, ნავთი, გაზი, ახალი ორთქლმავლები, ვაგონები, დაზგები, ტრაქტორები, კომბაინები, ხე-ტყე, პური, ხორცი, ფართო მოხმარების საქონელი. ადგილობრივი, საფეიქრო, ფეხსაცმლის, სამკერვალო, კვების, საგემოვნო, ხორცისა და რძის, თევზისა და მრეწველობის სხვა დარგების, აგრეთვე სარეწაო კოოპერაციის მუშაკთა წინაშე. რომლებიც ყოველდღიურ მომსახურებას უწევენ მშრომელებს, დგას ამოცანა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებით შეასრულონ თავიანთი გეგმები, დღითი-დღე გაზარდონ საქონლისა და პროდუქტების გამოშვება. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახულია საგაზაფხულო თესვისათვის უსწრაფესად მომზადების, პირუტყვის სულადობის გადიდების და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების ამოცანები, რათა მისცენ ჩვენს ქვეყანას მეტი საკვები პროდუქტები.

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს გააძლიერონ იმ მასალების გამოქვეყნება, რომლებიც ასახავენ საბჭოთა უკრაინის მიღწევებს სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, სსრ კავშირისა და საბჭოთა უკრაინის ბრძოლას მტკიცე მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

საფოსტო მარკები უკრაინის სს რესპუბლიკის 30 წლისთავის აღსანიშნავად

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო უშვებს უკრაინის სს რესპუბლიკის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ საფოსტო მარკების ახალ სერიას.

სერიაში ოთხი მარკაა. ორ მათგანზე გამოხატულია უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს შენობა კიევში და დნეპრჰესის კაშხალი, ორი მარკა გაფორმებულია სოფლის მეურნეობის, ლითონის გამოდნობისა და ქვანახშირის მოპოვების თემებზე.

მარკები გამოდის 30, 50, 60 კაპიკისა და 1 მანეთის ღირებულებისა და მახლობელ დღეებში გაიყიდება. (საკდესი).

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საკავშირო საზოგადოებაში

26 დეკემბერს მოსკოვში აკადემიკოს ს. ი. ვავილოვის თავმჯდომარეობით შესდგა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა. მოსმენილ იქნა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის აკადემიკოს მ. ბ. მიტინის ინფორმაცია საკავშირო საზოგადოების პირველი ყრილობის მოწვევის შესახებ.

ამხ. მიტინმა მოახსენა სხდომას, რომ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების შემადგენლობაში შედის 15 რესპუბლიკური საზოგადოება და 18 საოლქო და სამხარეო განყოფილება. საზოგადოების რიგებში 6 ათასამდე ნამდვილი კოლექტიური და ინდივიდუალური წევრია.

პრეზიდიუმმა გადასწყვიტა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების პირველი ყრილობა მოიწვიოს მოსკოვში 1948 წლის 26 იანვარს. ყრილობა, რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის მეცნიერთა სახლში შესდგება, მოისმენს ანგარიშს საზოგადოების 1947 წლის მუშაობის შედეგების შესახებ და განიხილავს 1948 წლის გეგმას, ჩაატარებს საზოგადოების საპატიო წევრთა არჩევნებს და გადასჭრის მთელ რიგ ორგანიზაციულ საკითხებს.

არაუგვიანეს 20 იანვრისა რესპუბლიკურ საზოგადოებათა საორგანიზაციო კომიტეტებმა და განყოფილებათა საორგანიზაციო კომიტეტებმა უნდა ჩაატარონ საზოგადოების წევრთა დამფუძნებელი კრებები (ყრილობები) და კრებები, რომლებზეც არჩეულ იქნებიან რესპუბლიკურ საზოგადოებათა და განყოფილებათა გამგეობები და დელეგატები პირველი საკავშირო ყრილობისათვის.

პრეზიდიუმმა მოისმინა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის პროფესორ ვ. ი. დოკუკინის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საკავშირო საზოგადოებას გადაეცა დედაქალაქის ერთ-ერთი უძველესი ბიბლიოთეკა — სახელმწიფო პოლიტექნიკური მუზეუმის ბიბლიოთეკა, აგრეთვე საკონტროლო-საზომ ხელსაწყოთა მუდმივი გამოფენა, სატყეო მუზეუმი, სამდინარო ფლოტის ტექნიკის მოსკოვის სახლი, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური, რომლებიც პოლიტექნიკური მუზეუმის შემადგენლობაში შევლენ.

პრეზიდიუმმა გადასწყვიტა ხელი შეუწყოს ძვირფას ინიციატივას, რაც გამოიჩინა დნეპროპეტროვსკის ოლქის პავლოგრადის რაიონის სოფელ ვიაზოვკის ინტელიგენციამ, რომელმაც საკოლმეურნეო ლექტორიუმი მოაწყო. გადაწყდა ეთხოვოს ლექტორიუმის ხელმძღვანელებს გააშუქონ თავიანთი მუშაობის გამოცდილება. ამავე დროს ლექტორიუმს ეგზავნება საზოგადოების სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების მიერ გამოცემულ ლექციათა სტენოგრამების 75 ბროშურა.

საზოგადოების წევრ-კოლექტივებად მიღებულია 10 პერიფერიული ორგანიზაცია, ხოლო ნამდვილ წევრებად — მოსკოვის, გორკის, ომსკის, სვერდლოვსკის, ნოვოსიბირსკის, ხაბაროვსკის, ტომსკის, ვორონეჟის, კალინინის, დონის როსტოვისა და სხვა ქალაქების მეცნიერ მუშაკთა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეთა დიდი ჯგუფი. (საკდესი).

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საერთო კრება

29-30 დეკემბერს აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დარბაზში მიმდინარეობდა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1. საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წესდების პროექტის განხილვა-დამტკიცება; 2. საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ხალხთა ბელადის დიდი სტალინის მეთაურობით და საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი კ. ჩარკვიანი.

საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ კრება გადავიდა პირველი საკითხის განხილვაზე. მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ხატიაშვილმა.

მომხსენებელმა ილაპარაკა საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებზე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს მშრომელთა შორის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელება, უკეთესად მოეწყოს მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების პროპაგანდა, ეკონომიკის, ისტორიის, ფილოსოფიის, ბუნებისმეტყველების, ხელოვნებისა და ლიტერატურის პროპაგანდა. ამხ. ხატიაშვილმა გააშუქა აგრეთვე საზოგადოების სტრუქტურის საკითხი.

მოხსენების გამო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. სიტყვით პირველი გამოვიდა აკადემიკოსი ნ. კეცხოველი. იგი მიესალმა რესპუბლიკაში პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას, რადგან ეს დაეხმარება საქართველოს მშრომელებს უკეთ გაეცნონ მეცნიერების მიღწევებს. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ შ. ბასილაიამ დამსწრეთ მოუთხრო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში საზოგადოების განყოფილების მუშაობის შესახებ. აკადემიკოსმა ა. შანიძემ მოიწონა წესდების პროექტი. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების აჭარის განყოფილების მუშაობაზე ილაპარაკა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ც. პარკაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი გ. სამხარაძე, მწერალი გ. ქიქოძე და პროფესორი პ. გუგუშვილი.

კრებამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ხალხთა ბელადს ამხანაგ ი. ბ. სტალინს, რუსი ხალხის სახელოვან შვილს ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს და ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ ლ. პ. ბერიას.

კრებამ ერთხმად მიიღო პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წესდება. დასასრულ კრებამ აირჩია საზოგადოების გამგეობა 32 კაცისა და სარევიზიო კომისია 5 კაცის შემადგენლობით. საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმში არჩეული არიან რ. ი. აგლაძე, გ. ს. ახვლედიანი, ნ. ა. ბერძენიშვილი, ვ. ზ. გულისაშვილი, ნ. ნ. კეცხოველი, ნ. ი. მუსხელიშვილი, ა. ნ. ნათიშვილი, პ. ა. შარია და ვ. ა. ხატიაშვილი.

პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულია ნ. ი. მუსხელიშვილი, თავმჯდომარის მოადგილეებად ვ. ზ. გულისაშვილი და ვ. ა. ხატიაშვილი.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საკავშირო ყრილობის დელეგატებად კრებამ აირჩია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ნ. ნ. კეცხოველი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ა. ხატიაშვილი

საზოგადოების წევრთა საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. პ. შარიამ.

ჩითახევის ჰიდროელსადგურის მშენებელთა წარმატება

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის სათბობ საწარმოთა მშენებლობის სამინისტრომ შეაჯამეს საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ნოემბრის შედეგები და მეორე პრემია მიაკუთვნეს ჩითახევის ჰიდროელსადგურის მშენებლობის სამმართველოს (უფროსი ამხ. ცაგარელი). მეორე პრემია მიეკუთვნა აგრეთვე ამავე მშენებლობის მეორე უბანს (უფროსი ნიქობაძე), ხოლო მესამე პრემია—პირველ უბანს (უფროსი იმნაძე).

საქართველოს ... [stamp]

ინფლაცია კაპიტალისტურ ქვეყნებში და ფულის რეფორმა სსრ კავშირში

ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ომის შემდგომი ეკონომიური პირობების მთელი განსხვავების მიუხედავად, მათ აერთიანებს ერთი საერთო დამახასიათებელი ნიშანი, სახელდობრ — ინფლაციის განუწყვეტელი და მწვავე ზრდა, რომლის წინაშეც ფაქტიურად უძლური არიან მთავრობის ორგანოები.

როცა ანალიზს ვუკეთებთ ინფლაციის პროცესებს, რომლებიც უკვე დიდი ხანია ანგრევენ ინგლისის ეკონომიკას, არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ის, რომ ინგლისის ოფიციალურ სტატისტიკას ცხადად აჩნევია „რეგულირების" კვალი და ამიტომ აშკარად ალამაზებს საქმის ნამდვილ მდგომარეობას. ინგლისის ოფიციოზური სტატისტიკის მანიპულაციები, რა თქმა უნდა, თვითმიზანს როდი წარმოადგენს. მათი სამსახურებრივი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ სინამდვილის შელამაზების გზით ორიენტაცია დაუკარგოს საზოგადოებრივ აზრს ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. მაგრამ ინფლაციის შუბს ინგლისის ეკონომიკის დაჩვრეტილ ხალთაში ვერასგზით ვერ დამალავ.

ამავე დროს არა მარტო ბევრი ბურჟუაზიული ეკონომისტი, არამედ ზოგი არამორისმჭვრეტელი საბჭოთა ეკონომისტიც უგულებელჰყოფს ინგლისში ინფლაციის არსებობას და არაკრიტიკულად უჯერებს ინგლისის სტატისტიკის „ინდექსებს", რომლებიც ფაქტიურად გახვრეტილ ფარად არ ღირან. ამ ნაკლოვანებათაგან, სამწუხაროდ, თავისუფალი არ არის აკადემიკოსი ე. ვარგაც, რომელიც, როგორც ჩანს, იჯერებს ინგლისის სტატისტიკის ყოველგვარ ხრიკებს და რომელმაც 1947 წლის 24 დეკემბრის „პრავდაში" გამოქვეყნებულ თავის უკანასკნელ სტატიაში „ინფლაცია და ფულის რეფორმები კაპიტალისტურ ქვეყნებში" სავსებით აუარა გვერდი საკითხს ინგლისში ინფლაციის შესახებ.

თავისი გადადგომის ცოტა ხნის წინ ფინანსთა მინისტრი დალტონი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ინფლაციის მძვინვარე სტიქია ინგლისში დიდ სიძნელეებს იწვევს. მართალია, დალტონს მაშინვე შეეშინდა საკუთარი მტკიცებისა, ბუჩქებში შევარდა და ერთბაშად დაიწყო მტკიცება, თითქოს, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ინგლისში, თუ საერთოდ არის ინფლაცია, ყოველ შემთხვევაში ეს არ არის „შეუჩერებელი ინფლაცია". მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ დაუსაბუთებელმა „მტკიცებამ" მხოლოდ გააძლიერა ინგლისის მშრომელი მასების ისედაც უდიდესი შეშფოთება განუწყვეტლივ მზარდ ეკონომიურ სიძნელეთა და გაჭირვების გამო. ინგლისი,—სწერდა სწორედ ამ დროს გაზეთი „ნიუს ქრონიკლი", — „პირდაპირ ეკონომიური კატასტროფის ზღვარზე იმყოფება".

შემცირებული ცნობებითაც კი, ფულის მიმოქცევა ინგლისში ომამდელთან შედარებით ერთიორად გაიზარდა. ფასები კვლავ სისტემატურად იზრდება. ყველა სახის საქონლის საბითუმო ფასების ინდექსი 1945 წლის 172,7-დან 1947 წლის ოქტომბერში 196,5-მდე გაიზარდა. განსაკუთრებით მკვეთრად აიწია სამრეწველო საქონლისა და მეცხოველეობის პროდუქტების ფასებმა.

ლონდონისა და კემბრიჯის ეგრეთწოდებულმა ეკონომიურმა ბიურომ 1947 წლის აგვისტოში აღიარა, რომ „ფასების ზრდა 1938 წლიდან 1947 წლის ნახევრამდე მუშათა კლასის 1937-1938 წლების მოხმარების შესახებ ცნობათა საფუძველზე 60-65 პროცენტს შეადგენს". მაგრამ ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ინგლისის სტატისტიკისათვის ჩვეულებრივ „სტანდარტებთან". ნამდვილად, საერთოდ საქონლის ფასების, კერძოდ, პირველი საჭიროების პროდუქტების ფასების ზრდა ბევრად აღემატება მოყვანილ ციფრებს. ამაში დარწმუნება ძნელი არ არის, თუ წარმოვიდგენთ, კერძოდ, იმ საიმპორტო საქონლის ფასების ზრდის დინამიკას, რომლის როლი, როგორც ცნობილია, ინგლისის შინაურ ბაზარზე განსაკუთრებით დიდია. გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" 1938 წლის საიმპორტო ფასების ინდექსს 100-ად იღებს და აწერს, რომ 1947 წლის აპრილში მან აიწია 234-მდე, ხოლო ივლისში — 253-მდე.

ფასების ზრდის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის დამოკიდებულება, რომელშიც ინგლისმა თავი ჩაიყენა ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ. როგორც ცნობილია, ინგლისისათვის სესხის მიცემის ცოტა ხნის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაუქმებულ იქნა ფასების კონტროლი და იმ საქონლის ფასებმა, რომელიც ინგლისში შეჰქონდათ, მკვეთრად აიწია. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ინგლისმა სესხი დასდო ჩვეულებრივი მყიდველობითი უნარის მქონე დოლარით, ხოლო რეალურად მიიღო სესხი ძლიერ შემცირებული მყიდველობითი უნარის მქონე დოლარით.

ინგლისის მთავრობის საგარეო პოლიტიკა კიდევ უფრო მეტად აძლიერებს ინგლისის დამოკიდებულებას ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, ვინაიდან სესხის მეტი ნაწილი იხარჯება ინგლისის იმ შეიარაღებული ძალების შენახვაზე, რომლებიც საზღვარგარეთ არიან.

იგივე პოლიტიკა იმას იწვევს, რომ მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში, რომლებიც მოხმარების საგნებს ამზადებენ, გაცილებით ნაკლები მუშა მუშაობს, ვიდრე ომამდე მუშაობდა.

საზღვარგარეთ მყოფი შეიარაღებული ძალების შესანახავად უდიდესი ხარჯების გაღება იმას იწვევს, რომ ინგლისმა ვერ შესძლო სესხის სახსრები დაეხარჯა თავისი მრეწველობის რეკონსტრუქციაზე და ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისი კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაზე. მან პერსპექტივაში თავისი საგადამხდელო ბალანსის გაჯანსაღებაც კი ვერ უზრუნველჰყო.

ინგლისის ეკონომიკის ღრმა კრიზისი, რა თქმა უნდა, ფულის ინფლაციით როდი ამოიწურება, არამედ იგი ამ ინფლაციაში თავის ერთ-ერთ უაღრესად მკაფიო გამოვლინებას პოულობს. ეს ინფლაცია, ინგლისის ეკონომიკის შინაგან წინააღმდეგობათა გარდა, იკვებება აგრეთვე ინგლისის საგადამხდელო ბალანსის უდიდესი და განუწყვეტლივ მზარდი დეფიციტით და ეგრეთწოდებული „დოლარის შიმშილობით", რაც ამ დეფიციტის ერთ-ერთ თანამგზავრს წარმოადგენს. ამერიკულმა დოლარმა გირვანქა სტერლინგი არა მარტო განდევნა ინგლისის ფარგლებს გარეთ მდებარე მისი საერთაშორისო პოზიციებიდან, არამედ გირვანქა სტერლინგის საკუთარ სახლში ისე უჭირავს თავი, როგორც კონტროლგაუწეველ მეპატრონეს, მეთოდურად უთხრის ძირს მის საფუძველსა და უზრუნველყოფას, მის კავშირს და კერძოდ, ცდილობს უკიდურესობამდე შეამციროს ინგლისის ოქროს ფონდი.

დალტონმაც კი ვერ შესძლო არ ეღიარებინა, რომ ინგლისის ეკონომიკა ხასიათდება ფულის „მეტად დიდი" რაოდენობით და „საქონლის მეტად მცირე რაოდენობით".

ეკონომიური სიძნელენი, რასაც ინგლისის მშრომელი მასები განიცდიან, განსაკუთრებით დიდია. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში ომის დამთავრების მომენტიდან უკვე ორწელიწადნახევარზე მეტი გავიდა, ინგლისის ეკონომიური პოლიტიკის მთავარი ხაზი მდგომარეობს არა იმაში, რომ გადავიდეს მომარაგების იმ სისტემიდან, რომელიც ომის პირობებში იყო შემოღებული, ნორმალურ სისტემაზე, არამედ, პირიქით, იმაში, რომ განამტკიცოს და მნიშვნელოვნად გააფართოოს ომიანობის დროინდელი სისტემის მოქმედება.

ამრიგად, ინგლისში „საჭირბოროტო საკითხს" წარმოადგენს არა ეკონომიკის მოწესრიგება სათანადო საფინანსო რეფორმისა და საბარათო სისტემის სრული გაუქმების საფუძველზე, არამედ უნივერსალური გამოყენება ყოველგვარი „რაციონირებისა", რომელიც პროგრესულად აუარესებს მოსახლეობის ფართო ფენების ისედაც მძიმე ცხოვრებას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ინფლაციის სტიქია კიდევ უფრო ძლიერ მჟღავნდება. თავის ამასწინანდელ გამოსვლაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა აღიარა, რომ ამჟამად ინფლაცია სასტიკად ემუქრება ამერიკის ეკონომიკას. „ჩვენ,—ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა,—აღარ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ინფლაციაზე და მის მიერ გამოწვეულ ფასებისა და საარსებო მინიმუმის ზრდაზე, როგორც რომელიღაც გაურკვეველ მდგომარეობაზე, რომელსაც შეგვიძლია მომავალში შევხვდეთ. ჩვენ უკვე განვიცდით ინფლაციას, რომლის დონეც შეშფოთებას იწვევს. და კიდევ უფრო მეტად შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ეს ინფლაცია განუწყვეტლივ ძლიერდება".

რა თქმა უნდა, ეს აღმოჩენა ძლიერ დაგვიანებულია. ინფლაცია ამერიკის ეკონომიკაში რამდენიმე წელიწადია მძვინვარებს. საქონლის ფასები განუწყვეტლივ იზრდება. მარტო 1946 წლის ნახევრიდან სასურსათო საქონლის ფასები, აგრეთვე საბითუმო ფასები 40 პროცენტით გაიზარდა.

ამასთან დამახასიათებელია, რომ ფასების ზრდის ტემპი კი არ კლებულობს, არამედ, პირიქით, მატულობს.

ჩვენ,—განაცხადა პრეზიდენტმა, — გზას გავუხსნით ეკონომიურ კატასტროფას, „თუ ახლავე არ მივიღებთ ღონისძიებებს ფასების სწრაფი ზრდის შესაჩერებლად".

მაგრამ ფასების შემცირების აუცილებლობის აღიარებასა და ამ ამოცანის ნამდვილად შესრულებას შორის უდიდესი დისტანციაა.

ინფლაციის პოლიტიკა სავსებით ხელსაყრელია ამერიკის კაპიტალის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ამ პოლიტიკას აწარმოებენ მშრომელთა საარსებო დონის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევის საფუძველზე.

ამ პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირშია ამერიკის შეერთებულ შტატებში მოდად შემოღებული „თეორიები", რომლებიც ქადაგებენ უმუშევართა მასობრივი არმიის დაჩქარებით შექმნის აუცილებლობას, რათა გამოიყენონ იგი მომუშავეთა ხელფასის მკვეთრი შემცირების მიზნით. ეს თეორია ფაქტიურად უკვე ხორციელდება. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში 8 მილიონზე მეტი კაცი არასრულ სამუშაო დღეს მუშაობს და ისინი, ამრიგად, უმუშევრობის უახლოეს კანდიდატებს წარმოადგენენ. იმ ადამიანთა რიცხვი კი, რომლებსაც ამჟამად არავითარი სამუშაო არა აქვთ, 3 მილიონზე მეტს შეადგენს.

მუშათა უდიდესი რაოდენობა დიდი გაჭირვებით ცხოვრობს. ეკონომიური ბიულეტენი „ეკონომიკ ნოტსი" იუწყება, რომ ამ წლის დამლევისათვის საწყობებში დაგროვდა უდიდესი თანხის—50 მილიარდი დოლარის საქონელი და მასალა, ამავე დროს კი იმ მოგების ზრდის მრუდი, რომელსაც მრეწველები იღებენ, კვლავ ზევით მიდის. 1947 წელს მსხვილმა მრეწველებმა მიიღეს 17 მილიარდი დოლარი წმინდა მოგება (გადასახადების გამოკლებით) ნაცვლად 1943 წლის 11 მილიარდისა.

ამერიკის მონოპოლისტურმა კაპიტალმა ინფლაციისა და ფასების ზრდის გამოყენებით ომისშემდგომი რეკონვერსია ასე გადააქცია თავისი უმაგალითო გამდიდრების წყაროდ და მშრომელი მასების საშინელი ექსპლოატაციის საშუალებად.

მაშინ როდესაც ყველაზე მდიდარი კაპიტალისტური ქვეყნებიც კი — ინგლისი, ამერიკა — ინფლაციის, სავალუტო ქაოსის, ფულის მყიდველობითი უნარის სისტემატური დაცემის, ფასების ზრდის, რეალური ხელფასის შემცირებისა და უმუშევრობის ზრდის ხანგრძლივ, გაჭიანურებულ ომისშემდგომ პროცესს განიცდიან, საბჭოთა კავშირმა წარმატებით გაატარა ფულის უდიდესი რეფორმა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ასამაღლებლად.

სსრ კავშირში ფულის რეფორმის გატარებამ მშრომელებს ერთბაშადვე უდიდესი მატერიალური მოგება მისცა. ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლება ყველა მშრომელმა ფულის რეფორმის გატარების პირველსავე დღეებში იგრძნო. ჩვენი ფულის რეფორმის თავისებურება უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გატარებულია საბარათო სისტემის გაუქმებასთან, თავისუფალი საბჭოთა ვაჭრობის გაშლასა და მოხმარების საგნების ფასების მნიშვნელოვან შემცირებასთან ერთად. პურისა და ბურღულის ფასები უფრო დაბალ დონეზეა დაწესებული, ვიდრე რეფორმამდე არსებული საულუფო ფასები იყო, ხოლო სასურსათო საგნებისა და სამრეწველო საქონლის კომერციული ფასები შემცირებულია ორნახევარჯერ და უფრო მეტად. ყოველივე ამან გამოიწვია რეალური ხელფასის მკვეთრი გადიდება და საბჭოთა ვალუტის განმტკიცება — მანეთის განმტკიცება. შემცირებული მყიდველობითი უნარის მქონე წინანდელი მანეთის ნაცვლად მოსახლეობამ სრულფასიანი მანეთი მიიღო. ფულის სისტემის განმტკიცება, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდა, თავისუფალი საბჭოთა ვაჭრობის გაშლა და ამასთან საქონლის ფასების შემცირება შესაძლებელს გახდიან ფასების შემცირებას შემდეგშიც, რაც კიდევ უფრო გაზრდის მუშა-მოსამსახურეთა რეალურ ხელფასს და კოლმეურნეთა შემოსავალს.

აი ჩვენში რატომ არ არის და არც იქნება ინფლაცია.

რამდენად გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა ფულის რეფორმის გატარებისა და ფასების შემცირების შედეგად, ამას ის ფაქტი მოწმობს, რომ მარტო ფასების შემცირებით ჩვენი ქვეყნის მშრომელები ყოველწლიურად დაზოგავენ 57 მილიარდ მანეთზე მეტს.

მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს შეეძლო გაეტარებინა ფულის ასეთი რეფორმა და ამავე დროს შეემცირებინა საქონლის ფასები. ჯერ არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არ უცდია გაეტარებინა ასეთი რეფორმა, დაკავშირებული ხალხის მატერიალური მდგომარეობის ამაღლებასთან. აბა სცადონ ბურჟუაზიულმა მთავრობებმა ამ გზაზე დადგომა, თუ მათ ოდნავ მაინც რამედ უღირთ მშრომელთა ინტერესები.

საბჭოთა სახელმწიფომ, ბურჟუაზიული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ფულის რეფორმასთან დაკავშირებული მსხვერპლის მეტი წილი თვითონ იკისრა. სახელმწიფოს მარტო ის დანაკარგი, ე. ი. ბიუჯეტის საშემოსავლო მუხლების შემცირება, რაც ფასების შემცირებასთან არის დაკავშირებული, როგორც უკვე ვთქვით, 57 მილიარდ მანეთზე მეტს შეადგენს. სწორი არ იქნებოდა, თუ ჩვენი სახელმწიფოს ამ დანაკარგს აუნაზღაურებელ დანაკარგად ჩავთვლიდით. ეს დანაკარგი ანაზღაურდება და დაიფარება მოკლე დროის განმავლობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის, ბაზარზე საქონლის მზარდი გამოშვებისა და საქონელბრუნვის განუწყვეტლივ მზარდი გაშლის მეოხებით.

ომისშემდგომი ორი უკანასკნელი წლის მანძილზე ჩვენმა მსხვილმა მრეწველობამ ომამდელი დროის წარმოების საშუალო თვიურ დონეს მიაღწია.

სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ, 1946 წლის სასტიკი გვალვის მიუხედავად, 1947 წელს უზრუნველჰყო სახელმწიფოსათვის პურის თითქმის ისეთივე რაოდენობით ჩაბარება, რა რაოდენობითაც იგი მას საუკეთესო ომამდელ წლებში იღებდა. ფულის რეფორმა ემყარება საბჭოთა კავშირის განუწყვეტლივ მზარდ სახალხო მეურნეობას, საქონელბრუნვის გაშლას. ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის მსვლელობაში და განსაკუთრებით მისი დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საერთო აღმავლობის საფუძველზე მანეთის მყიდველობითმა ძალამ ზრდა იწყო. ახლა, ფულის რეფორმის შედეგად, მთლიანად იქნება ლიკვიდირებული ომის შედეგები ფულის მიმოქცევის დარგში, გაიზრდება საბჭოთა მანეთის როლი და მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში. ფულის მტკიცე სისტემა ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ტემპის დაჩქარებას და ხალხის კეთილდღეობის შემდგომ ზრდას.

„პრავდის" მოწინავე, 30/XII

უკეთესად, მაღალნაყოფიერად ვიმუშაოთ 1948 წელს

ლენინის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

29 დეკემბერს პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა თბილისის ლენინის რაიონის პარტიული და სამეურნეო აქტივის კრება, რომელსაც დაესწრნენ საწარმოთა დირექტორები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების თავმჯდომარეები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოწინავე საამქროთა ხელმძღვანელები, წარჩინებული ოსტატები და სტახანოველები.

კრებამ მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივნის ამხ. მ. ლელაშვილის მოხსენება ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების ვალდებულების აღებასთან დაკავშირებით საწარმოთა კოლექტივების ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ლენინგრადელთა პატრიოტულ მოწოდებას— ახალი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შესახებ — ლენინის რაიონის საწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ. რაიონის საწარმოთა უმრავლესობამ დიდი ოქტომბრის XXX წლისთავთან დაკავშირებით ნაკისრი საწარმოო ვალდებულებანი წარმატებით გაანაღდა. მრავალი საწარმო კარგა ხანია პროდუქციას იძლევა წლიური გეგმის გადამეტებით.

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ლენინგრადელთა მიმართვის საპასუხოდ იკისრა ვალდებულება 1946 წელთან შედარებით 1948 წლის ბოლომდე გაადიდოს შრომის ნაყოფიერება 35 პროცენტით, შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება 40 პროცენტით, გაწიოს 300 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომია, აითვისოს და გამოუშვას 15 ახალი ტიპის სპეციალური დაზგა. ამ ვალდებულებას კიროველები წარმატებით ასრულებენ. ქარხანამ 1947 წლის 11 თვის განმავლობაში საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 126,9 პროცენტით შეასრულა.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ვალდებულება იკისრეს ორთქლმავლების საშუალო რემონტის გეგმის ვადამდე შესრულება და გეგმის გადამეტებით 40 ორთქლმავლის შეკეთება, ამასთან შეკეთებისას ორთქლმავლის გაცდენის შემცირება ერთი დღეღამით, გარეცხვითი რემონტის ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულება და ტექნიკური სისწრაფის ორი კილომეტრით გადიდება. დეპოელებიც ღირსეულად ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს. ნოემბერში აწევითი რემონტიდან გეგმით გათვალისწინებული 6 ორთქლმავლის ნაცვლად გამოშვებულია 8, გარეცხვითი რემონტიდან 57 ნაცვლად — 60.

კარგად მუშაობენ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მთელი რიგი საამქროები. მაგალითად, საქვაბე საამქროს კოლექტივმა, რომელმაც ახალი ხუთწლიანი გეგმა 1 ნოემბრისათვის შეასრულა, იკისრა ვალდებულება — 1948 წლის ბოლომდე კიდევ ერთი ხუთწლედი გაანაღდოს.

ლენინგრადელთა მოწოდების საპასუხოდ კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე 26 კომისრის სახელობის, ავტოსარემონტო და ავჭალის ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხნების, საელმავლო დეპოს, პლასტმასის ქარხნის, სატრიკოტაჟო კომბინატისა და რაიონის მთელმა რიგმა სხვა საწარმოებმა. მუშები, ოსტატები და ინჟინერ-ტექნიკოსები, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ინიციატივასა და თავდადებას იჩენენ დავალებათა შესრულებაში. უფრო და უფრო მატულობს რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რიცხვი. რაციონალიზატორულ წინადადებათა რეალიზაცია ხელს უწყობს საწარმოთა მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ მთელ რიგ საწარმოებში აღმოფხვრილი არ არის მოპოვებული წარმატებით დაკმაყოფილების მავნე განწყობილება. თუ ქარხანაში ან ფაბრიკაში წარსულთან შედარებით გაიზარდა სტახანოველთა რაოდენობა, ნაკლებად ზრუნავენ სოციალისტური შრომის ახალ ნოვატორთა აღსაზრდელად. ზოგიერთ საწარმოში პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები არ იჩენენ საკმაო ინიციატივას, ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობენ სოციალისტური შეჯიბრების გაშლას და სტახანოვური მოძრაობის გაფართოებას. ცალკეულ საწარმოთა ხელმძღვანელების მხრივ ადგილი აქვს ძვირფას რაციონალურ წინადადებათა და გამოგონებათა განხორციელებისადმი აშკარა ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას.

ყველგან სათანადო ყურადღება არ ექცევა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას. მაგალითად, ავტოსარემონტო ქარხანას აკლია 120 კაცი, მათ შორის ხარატი 35, ზეინკალი 16 და ტექნიკოსი 7. ქარხნის კადრების განყოფილების უფროსი ამხ. ზამთარაძე სრულებითაც არ ზრუნავს ამ კვალიფიკაციის კადრების მომზადებაზე. იგი უცდის, თუ როდის მისცემენ მზამზარეულ კადრებს. ამავე დროს, ქარხანაში სრული შესაძლებლობა არსებობს, რომ მომზადებულ იქნან კვალიფიციური კადრები.

რაიონში არის საფაბრიკო-საქარხნო სკოლები და სახელოსნო სასწავლებლები, მაგრამ იმის გამო, რომ ამ სკოლებსა და სასწავლებლებში ჯეროვან სიმაღლეზე არა დგას ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმე, კადრების მომზადების ხარისხი საგრძნობლად დაბალია.

კრებაზე ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ლენინგრადელთა მოწოდების საპასუხოდ აღებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს შრომის სწორი ორგანიზაცია. იგი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლების საქმეში. ამას კი მთელ რიგ შემთხვევებში საწარმოთა ხელმძღვანელები ნაკლებად უწევენ ანგარიშს. აქტივის კრებაზე აღინიშნა ცალკეულ საწარმოთა ხელმძღვანელების მიერ მიშვებული ადმინისტრირების ფაქტები. მარტო თბილისის რკინიგზის კვანძის საწარმოებში დისციპლინის დარღვევის შედეგად 909 კაცს დაედო სასჯელი. გასაგებია, რომ ასე თუ მივუდგებით საქმეს, არც დისციპლინა განმტკიცდება და არც შრომის ნაყოფიერება გადიდდება. საწარმოთა პარტორგანიზაციებმა საჭიროა უფრო მეტი აქტიურობა გამოიჩინონ. მათ უნდა მოსთხოვონ სამეურნეო ხელმძღვანელებს, რომ წესრიგის დამრღვევთა მიმართ სასჯელის ზომას მიმართონ მომხდარი ფაქტის ზედმიწევნითი ანალიზის შემდეგ, თვითეულ მუშას ინდივიდუალურად მიუდგნენ.

* * *

ამხ. მ. ლელაშვილის მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ნ. ლოლაძემ (სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე), ნ. გოგელიძემ (კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა), ვ. ბექუაშვილმა (სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხანა), გ. სტურუამ (26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა), თ. გოგოლაძემ (სატრიკოტაჟო კომბინატი), გ. არევაძემ (თბილისის სატვირთო სადგური), ვ. გაბუნიამ (საელმავლო დეპო), გ. ახალაიამ (პლასტმასის ქარხანა) და ვ. კაპატაძემ (26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა).

უნდა აღინიშნოს, რომ კამათში გამოსული ამხანაგები მხოლოდ მიღწევებზე ლაპარაკობდნენ. მათ სიტყვებში არ იყო მოცემული საწარმოების მუშაობის ნაკლოვანი მხარეების კრიტიკა.

აქტივის კრებამ დასახა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

ქვანახშირის ამოღების ახლანდელი ტემპი საკმაო არაა

ტყიბულში ბევრია მოწინავე მეშახტე, ცვლა და უბანი, რომლებიც ჩინებულად ასრულებენ დავალებებს. ლენინის სახელობის შახტის ალ. ცირეკიძის უბანმა დეკემბრის პირველ დეკადასთან შედარებით მეორე დეკადაში საგრძნობლად გაადიდა ქვანახშირის მოპოვება და ორი დეკადის გეგმა 119,3 პროცენტით შეასრულა. 22 დღეში უბნის მეშახტეებმა გეგმის გადამეტებით მოგვცეს 100 ტონაზე მეტი ქვანახშირი. ამ უბნის გ. ქუმსიაშვილის ცვლამ 5 დეკემბრისათვის შეასრულა წლიური დავალება. წარმატებით მუშაობენ ვ. ცქიფურიშვილისა და ქ. ობოლაძის ცვლები. თვალსაჩინო წარმატებები აქვთ მეხუთე უბნის მეშახტეებს გ. ჩიტიშვილის ხელმძღვანელობით. 22 დღის გეგმა ამ უბანმა 119,8 პროცენტით გაანაღდა. სტალინ-ის სახელობის შახტში გადამეტებით ასრულებენ გეგმებს პ. ნანიკაშვილისა და თოფურიას უბნები. გაორკეცებით ასრულებენ დავალებას კადრის მეშახტეები ი. ობოლაძე, ს. ლაფერაძე, ა. ყიფშიძე, დ. ქათამაძე, შ. ფურცხვანიძე და სხვები.

მაგრამ შახტების მთელი რიგი უბნები კვლავ ჩამორჩებიან. ლენინის შახტში ი. ზვიადაძის უბანმა ორი დეკადის გეგმა მხოლოდ 64,4 პროცენტით შეასრულა. სტალინის შახტის შ. შოთაძის უბანი სანახევროდაც ვერ ასრულებს გეგმებს. ჩამორჩებიან აგრეთვე ცერცვაძის, გვენეტაძის, ფანჩულიძის, გაბრიაძისა და სხვა უბნები. ამის გამო დეკემბრის ორი დეკადის გეგმა არც ერთ შახტს არ შეუსრულებია.

საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა გარდაქმნან მუშაობა, გამოასწორონ ნაკლოვანებანი, მაღალნაყოფიერად დაიწყონ ახალი სამეურნეო წელი.

ს. მერკვილაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ა. ნ. ოსტროვსკის დაბადების 125 წლისთავი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. იმასთან დაკავშირებით, რომ 1948 წლის 12 აპრილს სრულდება დიდი რუსი დრამატურგის ა. ნ. ოსტროვსკის დაბადების 125 წლისთავი, შეიქმნას სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: მ. ბ. ხრაპჩენკო (თავმჯდომარე), მუსა აიბეკი, ი. გ. ბოლშაკოვი, ა. მ. ბუჩმა, ს. ი. ვავილოვი, ნ. ე. ვირტა, სამედ ვურგუნი, ა. მ. გერასიმოვი, ი. ე. გრაბარი, ნ. ნ. დანილოვი, ს. ნ. დურილინი, ა. მ. ეგოლინი, ვ. ვ. ერმილოვი, ა. გ. კალაშნიკოვი, მ. ნ. კედროვი, ბერდი ქერბაბაევი, იაკუბ კოლასი, ა. ე. კორნეიჩუკი, ე. პ. კორჩაგინა-ალექსანდროვსკაია, პ. ი. ლებედევი, პ. ი. ლებედევ-პოლიანსკი, ლ. მ. ლეონოვი, ა. მ. ლობანოვი, ნ. ა. მიხაილოვი, ვ. ა. მიჩურინა-სამოილოვა, საბიტ მუკანოვი, ნ. ი. მიასკოვსკი, ვ. მ. პეტროვი, ნ. კ. პიკსანოვი, ნ. ფ. პოგოდინი, ვ. ნ. რიჟოვა, კ. მ. სიმონოვი, ა. კ. ტარასოვა, მ. მ. ტარხანოვი, ნ. დ. ტელეშევი, ე. ვ. ტურჩანინოვა, ა. ა. ფადეევი, ა. ა. ხორავა, ნ. კ. ჩერკასოვი, ა. მ. იაკობსონი, ა. ა. იაბლოჩკინა.

2. დაევალოს სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტს: შეიმუშაოს ღონისძიებანი ა. ნ. ოსტროვსკის ხსოვნის უკვდავსაყოფად, ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირის მშრომელთა შორის ა. ნ. ოსტროვსკის შემოქმედების ფართო პოპულარიზაციას, ა. ნ. ოსტროვსკის დაბადების 125 წლისთავის დღეს ქალაქ მოსკოვში ჩაატაროს საზეიმო სხდომა.

პრემიები საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მოწინავე კავშირებს, კოოპერატივებს და საწარმოებს

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის „ცენტროსოიუზმა" 1947 წლის მესამე კვარტალში საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად აღიარა და პრემიები მიანიჭა:

სიღნაღის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს — 35.000 მანეთი, წნორის სასოფლო კოოპერატივს— 15.600 მანეთი, მარნეულის სასოფლო კოოპერატივს — 7.500 მანეთი; თბილისის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის დამზადების კანტორას — გარდამავალი წითელი დროშა და 9.600 მანეთი პრემია; ოჩამჩირის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს — 17.600 მანეთი, მანგლისის სასოფლო კოოპერატივის პურსაცხობს — 1.400 მანეთი, წყალტუბოს კოოპერაციის პურსაცხობს — 900 მანეთი, ოჩხამურის სასოფლო კოოპერატივს — 600 მანეთი და ორთაბათუმის სასოფლო კოოპერატივს — 300 მანეთი.

კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატები

სოციალისტური სამშობლოს ერთგული შვილი

...დიდი სამამულო ომის პერიოდში ...ორგი ყურაშვილი სარდლობდა სა...ვანთქმული ანაპის 414-ე წითელ...მოვან მსროლელ დივიზიას, რო...მაც გმირული ბრძოლის გზა გან...ო თერგის ნაპირებიდან სევასტო...ლის კედლებამდე.

...გიორგი ყურაშვილი დაიბადა 1900 ...ს სოფელ ნაკურალეშში (ცაგე...ს რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახ...

... აქვე დაამთავრა ხუთწლიანი სკო... 1918 წელს აქტიურ არალეგალურ ...ოლუციურ მუშაობაში ებმება და ...ხეთის მშრომელებთან ერთად იბ... მენშევიკების ბატონობის წი... ...ლმდეგ. საქართველოში საბჭოთა ...ლისუფლების დამყარებისთანავე შე... წითელი არმიის რიგებში და ...ელ თავის ცხოვრებას მას უკავში...ებს.

...დიდმა სამამულო ომმა გიორგი ყუ...შვილს ლიტვაში მოუსწრო. თავისი ...ნილით დასავლეთის ფრონტზე იგი ...მატებით ასრულებდა სარდლობის ...ვალებას. 1942 წლიდან კავკასიის ...ის დამცველთა რიგებშია. 1943 ...ის ზაფხულში ნიშნავენ 414-ე ...როლელი დივიზიის მეთაურად.

...გიორგი ყურაშვილი თავისი დივი...ით მრავალ სასტიკ ბრძოლაში მო...წილეობდა. 1943 წლის სექტემ...ბერში 414-ე დივიზიას თავდაცვა და...ებული ჰქონდა აზოვის ზღვის სანა...პიროზე სტანიცა პრიმორსკო-ახტარი...ს თითქმის ეისკამდე. 12 სექტემ...ბერს მიღებულ იქნა ბრძანება დივი...ის ნაწილების ნოვოროსიისკის უბან...ზე გადასროლის შესახებ. 16 სექტემ...ბრის დილით დივიზია ჩაება ბრძოლა...ში ნოვოროსიისკისათვის და დიდი მა...მაცობა გამოიჩინა. მტრისაგან გაიწ...მინდა ნოვოროსიისკი. დივიზიამ მიი...ღო ბრძანება უკუქცეულ მტერს ფეხ...დაფეხ დასდევნებოდა. ბრძოლის გზა...ზე ჩვენი შემტევი ქვედანაყოფები ...ესხმოდნენ და ანადგურებდნენ მტრის ...გაფანტულ ნაწილებს. 20 სექტემ...ბრის ხუტორ პოლიტოტდელთან გერ...მანელთა ძლიერ გამაგრებული თავ...დაცვითი ნაგებობანი აღიმართა. გიორ...გი ყურაშვილის მეომრები ჩასაფრდ...ნენ. მრავალი უძილო ღამის მიუხედა...ვად, დივიზიის მეთაურმა გადასწყვი...ტა გათენებამდე მოემზადებინა ყვე...ლა ძალა ერთი და გარიჟრაჟისას გადაეყვა...ნა მეომრები გადამწყვეტ შეტევაზე ...ანაპის გასათავისუფლებლად. მარ...თლაც დილით, 21 სექტემბერს, მოკ...ლე საარტილერიო მომზადებისა და ...ჩვენი ავიაციის მიერ მტრის საცეცხ...ლე ზოლების სათანადოდ „დამუშა...ვების“ შემდეგ, იგრიალა ქართულმა ...„ვაშამ“ და მეომრები ბრძოლაში გა...დაეშვნენ. ჰიტლერელებმა ვერ გაუძ...ლეს ჩვენი ნაწილების შეტევას და ...საბოლოოდ დაიწყეს უკან დახევა. ...ქართველი მეომრები, მებრძოლი მე...თაურის ხელმძღვანელობით, დაედევ-

ნენ მტერს, გაათავისუფლეს ტარუ-სევსკაია, ანაპსკაია, ქალაქი ანაპა. შემდეგ დივიზიამ მტერს ხელიდან გამოჰგლიჯა სუვოროვო-ჩერკასკი, გოსტაგაიკა, უტაში, ზურგიდან შემოვლით აიღო გირლიანაიას მთა — გერმანელთა ყველაზე ძლიერ გამაგრებული თავდაცვის ზღუდე ტამანის ნახევარკუნძულზე და შევიდა სტანიცა ვიშესტებლიევსკაიაში... მტერი გადაყრილი იქნა ზღვაში ტამანთან.

ამ ბრძოლებში ქართულმა დივიზიამ დიდი წარმატება მოიპოვა. ეს იყო რიგითი მებრძოლებისა და მეთაურების გმირული ბრძოლის შედეგი, საბრძოლო ოპერაციებისადმი გიორგი ყურაშვილის უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგი. უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ბრძანებით დივიზიას მიენიჭა ანაპის სახელი.

რამდენიმე დღის შემდეგ გიორგი ყურაშვილმა მოსკოვიდან მიიღო წერილი, რომელშიც ეწერა:

„პატივცემულო გიორგი გაბრიელის-ძევ!

საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და ვაჟკაცური ხელმძღვანელობისა და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში ამ ოპერაციების შედეგად მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1943 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებულებით დაგაჯილდოვათ სუვოროვის მეორე ხარისხის ორდენით.

გიგზავნით ზემოხსენებულ ორდენს და მაგრად გართმევთ ხელს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი“.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 22 თებერვლის დადგენილებით გ. გ. ყურაშვილს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. მებრძოლი მეთაური დაჯილდოებულია სსრ კავშირის მრავალი ორდენითა და მედლით.

გიორგი ყურაშვილი ახლაც ჩვეული ენერგიით ემსახურება საყვარელ საქმეს, ხელმძღვანელობს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრას.

ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა სამშობლოს ერთგული შვილის გიორგი ყურაშვილის დამსახურება ღირსეულად შეაფასეს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და მოსამსახურეებმა. იგი ერთსულოვნად დაასახელეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 387 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა გიორგი ყურაშვილის კანდიდატურა.

არ. კოკილაშვილი

დამსახურებული მეცნიერი

ალისფერი დროშებით, პორტრეტებით, ლოზუნგებით, პლაკატებით, ბალმებითა და ლამაზი ყვავილებით მოურთავთ თბილისის ქალთა 18-ე საშუალო სკოლის სხდომის დარბაზი. აქ შეკრებილან მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების მოლოტოვის რაიონის № 153 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები. თავიანთ დეპუტატობის კანდიდატთან აკადემიკოს გრიგოლ მიხეილის-ძე მუხაძესთან შესახვედრად მოსულან მეცნიერი მუშაკები, სპეციალისტები, მუშები და მოსამსახურეები, დიასახლისები და ახალგაზრდა ამომრჩევლები.

შეხვედრა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გ. ბერიძემ.

სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს ამხ. ე. ბერიშვილს. იგი აკადემიკოს გ. მ. მუხაძეს ახასიათებს როგორც სოციალისტური სამშობლოს ერთგულ შვილს, უპარტიო ბოლშევიკსა და გამოჩენილ სპეციალისტს.

— აკადემიკოსი გ. მ. მუხაძე ღარიბი გლეხის ოჯახიდანაა გამოსული, — განაცხადა ნდობით აღჭურვილმა პირმა. — იგი ადრე დაობლდა, მაგრამ არ შეუშინდა დაბრკოლებებს და თავისი შრომით გაიკვლია გზა მეცნიერებისაკენ. მას შემდეგ, რაც მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, მუშაობდა ქიათურაში, სადაც მშრომელთა დიდი სიყვარული დაიმსახურა, ხოლო 1914 წლიდან გადმოვიდა ქალაქ თბილისში.

— 15 ათასმა დაჭრილმა გაიარა აკადემიკოს გ. მუხაძის ხელში და სამი ათასამდე რთული ოპერაცია გააკეთა მან, — მოუთხრობს დამსწრეთ ამხ. ბერიშვილი. — იგი ამჟამად ხელმძღვანელობს სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. სამამულო ომის პერიოდში მისი ხელმძღვანელობით მზადდებოდა სისხლი მეომრებისათვის. არა ერთსა და ორ საბჭოთა მეომარს დაუბრუნდა სიცოცხლე ამ დახმარების შედეგად. პარტიამ და მთავრობამ დააფასეს აკადემიკოს გ. მუხაძის ღვაწლი. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

გ. მ. მუხაძე სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია. ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად იგი აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევა.

დასასრულ ამხ. ე. ბერიშვილმა მოუწოდა დამსწრეთ ერთსულოვნად მისცენ ხმა უპარტიო ბოლშევიკს აკადემიკოს გ. მ. მუხაძეს.

სიტყვას იღებს ამომრჩეველი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი მ. გევონდიანი.

— აკადემიკოს მუხაძის მიერ გაზრდილი ბევრი სპეციალისტი ახლა უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერი მუშაკია, — აცხადებს იგი. — სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსება მის სახელთანაა დაკავშირებული. იგი საქმის კარგი ორგანიზატორიცაა. ამიტომ ჩვენ სიხარულით მივცემთ ხმას გ. მ. მუხაძის კანდიდატურას.

ამომრჩეველი ს. ჭანტურია დამსწრეთ უამბობს იმ ღვაწლზე, რაც გ. მ. მუხაძეს მიუძღვის საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტის დაარსებისა და ქართველ ქირურგთა კადრების გაზრდის საქმეში.

— საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი,—განაგრძობს იგი,—ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტს. იგი სამასამდე მეცნიერული შრომის ავტორია. მოვუწოდებ ჩვენი ოლქის ყველა ამომრჩეველს ერთსულოვნად მისცენ ხმა აკადემიკოს გ. მუხაძეს.

აკადემიკოსი გ. მუხაძე მადლობას უცხადებს ამომრჩევლებს ნდობისათვის და ჰპირდება ერთგულ სამსახურს მშრომელი ხალხისადმი.

დეპუტატობის კანდიდატის გამოსვლას დარბაზი გულთბილად შეხვდა. მხცოვან მეცნიერ მოღვაწეს თაიგული მიართვეს.

დასასრულ მოსწავლეთა ძალებით გაიმართა კონცერტი.

თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 105 საარჩევნო ოლქი. № 21 საარჩევნო უბნის აქტივისტები ა. ჩხეტია (მარჯვნივ) და ქ. ხოზიაშვილი უშვებენ კედლის გაზეთ „ამომრჩევლის ხმის“ მორიგ ნომერს. ფოტო ვლ. გინზბურგისა და რ. აკოფოვისა

პატრიოტი ქალი

მდინარე ცივის მარცხენა ნაპირზე, სადაც ვაკდება ეკის მთის სამხრეთი კალთები, მდებარეობს სოფელი მენჯი. სოფელი ოთხი კილომეტრითაა დაშორებული ქალაქ ცხაკაიას.

აქვე, მენჯის ახლოსაა ის ქვის სატეხი კარიერები, სადაც „პირველი ნაბიჯის“ გმირი ბახვა ფულავა ფეხშიშველი და შარვალგამოხეული დატანტალებდა. მატარებელმაც ადრე შემოაკივლა ამ სოფელში, კირის ქვის საბადოებზეც გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა, მაგრამ სოფელს არავინ აქცევდა ყურადღებას. არც მოსახლეობა მომრავლებულა, აქაურ მოსახლეს ხმისმიწვდენაზეც არ ჰყავდა მეზობელი.

* * *

სამამულო ომის დაწყებამდე ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა და შემდეგისათვის სწრაფად განვითარდა კურორტ მენჯის მშენებლობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საკურორტო ზონის კეთილმოწყობასა და გამწვანებას. აშენდა სამსართულიანი დასასვენებელი სახლი, რომლის მთავარ კორპუსში, დასასვენებელ ოთახებს გარდა, მოთავსდა კლუბის დარბაზი და სამკითხველო, ხოლო სანატორიუმის ვრცელი ეზო გადაიქცა სკვერად — შადრევანით, მარადმწვანე ნარგავებით, ლენინის ძეგლითა და მრავალი სკულპტურული ქანდაკებით.

ამჟამად მენჯი ცხაკაიას რაიონის ერთ-ერთი დიდი სასოფლო საბჭოა.

ამ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეა მარო ანდრიას ასული ფაჩულია.

მარო ფაჩულიამ 1930 წელს დაამთავრა სოფელ ქვემო თეკლათის შვიდწლიანი სკოლა. 1931 წლიდან მუშაობს მენჯის სასოფლო საბჭოში, პირველად ფინანსიურ დარგში, 1932 წლიდან სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნად, ხოლო 1938 წლიდან აღმასკომის თავმჯდომარედ.

ამ სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზეა: სამი დიდი კოლმეურნეობა — ლენინის, ბერიას და ვოროშილოვის სახელობისა, ოთხი დაწყებითი და ერთი რვაწლიანი სკოლა. კოლმეურნეობებში გაყვანილია ტელეფონის ხაზი და ელექტრონი.

მარო ფაჩულიას თავმჯდომარეობის დროს აშენდა ახალი შენობები სკოლებისათვის, სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა. მდინარე ცივზე აგებულია ხიდი, რომელმაც სოფელ ბათარიას მცხოვრებნი უმოკლესი გზით დაუკავშირა სასოფლო საბჭოს აღმასკომს.

სამამულო ომის წლებში მარო ფაჩულიას ხშირად ნახავდით ქალაქ ცხაკაიას სამხედრო კომისარიატში. იგი დედობრივი სიყვარულით აცილებდა ფრონტზე მიმავალ მენჯელ ახალგაზრდებს, არწმუნებდა და აიმედებდა, რომ მათ ოჯახებს არ მოაკლებდა ზრუნვას.

და ბევრჯერ უნახავთ მარო ფაჩულია საბარგო მანქანით ფრონტელის ოჯახში რომ მიჰქონდა შეშა, ჭირნახულით დატვირთულ ურმებს რომ მიუძღოდა ფრონტელთა ოჯახებისაკენ. ამის გამო უყვართ მენჯელ კოლმეურნეებს მარო ფაჩულია.

მენჯის სასოფლო საბჭო კარგად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობებს. ამ კოლმეურნეობებში სიმინდიც მოჰყავთ და ციტრუსოვანთა პლანტაციებიც აქვთ, არის ჩაიც და ხეხილიც, განვითარებულია მესაქონლეობა, ჰყავთ ფუტკარი.

დეკემბრის კვირადღეა. კოლხიდის დაბლობში ზამთრის სუსხს ჯერ არ შეუდგამს ფეხი. ჭირნახულითა და შეშით დატვირთული ურმები მიჭრიალებენ გზებზე. მენჯის სასოფლო საბჭოში დაგვხვდა მარო ფაჩულია. მას გულმოდგინედ მოურთავს საარჩევნო უბანი, ამოწმებს ამომრჩეველთა სიებს, კედლის გაზეთის გამოშვებაში შველის ახალგაზრდებს, ტრანსპორტის შოვნაში ეხმარება ბერიას სახელობის კოლმეურნეობას სასუქის გადმოსაზიდად. თავდადებულად მუშაობს პატრიოტი ქალი. ასეთი ბეჯითი შრომისათვის დაასახელეს ერთხმად მენჯელმა კოლმეურნეებმა ცხაკაიას რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მარო ფაჩულია.

იგი უყვართ, ენდობიან მას, სჯერათ მისი. არჩევნების დღეს ამ ნდობასა და სიყვარულს დაუმტკიცებენ მარო ფაჩულიას მენჯელი ამომრჩევლები.

შ. ადამიძე

ფ ო თ ი

მხატვრული აგიტბრიგადები

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების პერიოდში კარგად მუშაობენ კულტურის სახლთან არსებული მხატვრული აგიტბრიგადები. აგიტბრიგადები (ხელმძღვანელი ნ. ქორიძე) საარჩევნო უბნებში და აგიტპუნქტებში სისტემატურად აწყობენ მოხსენებებს, საუბრებს, კონცერტებს. საღამო-კონცერტები მოეწყო ჭალადიდის, პატარა ფოთის, ახალსოფლის და სხვა საარჩევნო უბნებში.

აგიტბრიგადებს ასეთივე ღონისძიებათა გატარება განზრახული აქვთ ქალაქის ყველა საარჩევნო უბანში.

არჩევნებისადმი მიძღვნილი გამოფენა

ქალაქის ყველა აგიტპუნქტში, კოლხიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, კლუბებსა და ბიბლიოთეკაში მოეწყო არჩევნებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციები, საარჩევნო დებულება, ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული სტატიები, კონსულტაციები და განმარტებანი. აქვეა მასალები საერთაშორისო მდგომარეობის, მეოთხე ხუთწლიანი გეგმის, ქალაქის აწმყოსა და წარსულის შესახებ.

გამოფენის მასალებით ფართოდ სარგებლობენ პროპაგანდისტები, აგიტატორები და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელები.

გიორგი ლეონიძე

სამგორი*)

თავი მესამე

1

— რამდენი განდგა აზნაურთაგან,
...შემოეცალნენ მეფეს ბურჯები,
...სპარსებს მიემხრნენ: ღვირლვა, ფარეჯან,
...რტვაზ, არშუშა, ხორნაბუჯელი!..
— არ მოტყუვდება თვალი მეფისა,
...როზე დააჲრა ფრთები შარაველს!
...ორემ ისიც მტერს მიუვიდოდა
...ველებურადვე, უშიშარადვე!

2

...პალატის ბჭის წინ, ერში, შარაველ
...გვას ეძებდა გაბელებული
...და თვალი შეჰკრა, — იდგა ლაშქარი,
...დად ხანაბავით აღელვებული...
...მიდავს, დაიდგარა შარაზე,
...ხელთ ოქროს ჯამით პირიმზე,
...ბრძოლის წინ, აბჯრიან მხედრებს,
...ღვინოს აწოდებს ღიმილით,
— მართლა ღიმია ქალისა,
...თუ უკვდავების წვიმილი?
...დგას მთელი ლაშქრის დობილი,
...ლევარე, ჩამომწყაზრული...
...რამდენი გული გაათბო,
...ლულის სუსხით დაზრული.
...ლმახურ შუქს ისვრის სახე,
...ფეხლის ბუქს მკრის ქალის თვალი.
...ოქროს ზღვიდან ამოხხივდა
...ზე მარჯნულად გამომკრთალი...
...ულს რა გაჰკვეთს, განა ხმალი?!

3

... უღელვო ზღვა დგას ჯარი,
...რომზესთან დანაჯარი...
... ტრიალებს ოქროს ჯამი,
...ბრძოლების წინ საჩუქარი,
...რსდგა თვითონ შარაველიც,
...სიოებით, მუხლზე ჩოქით...
...მართვა ღვინის ჯამი,
...ერთობილმა გულის ტოკვით.
...მა მოუტკბა მეფის ასულს
... გაუხდა თვალი ფართო:
— შენ გაბარებ ბივრიტიანს,
...რ დახოვო ომში მარტო!
...ღორტმანდა პიტიახში;
...ა გასტეხდა ამის მეტი?
...მქრალ იმედს-და მზედავდა,*
...ჰირიმზის პირს შენამჟვრეტი.

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი“ № 256, 257, 258, 259.

4

და ბივრიტიანს მუზარად დადგმულს,
ასე მიმართავს ქალი ხმა-ნაზი:
— ლომი ხარ, მაგრამ შენს სუფთა სახეს,
ხომ არ აკლია ჭრილობის ხაზი?!
დამილოცნიხარ! დაცალე ჯამი,
მშობელი მიწის ტკბილი წვენია!
წადი, გახსოვდეს, — მიწაც, ეს წვენიც
მამათა სისხლით შენაძენია...
ხოლო მოლაშქრეს ეტყვის თვითეულს:
— მაშ მკლავის ღონე სადდა დატოო,
თუ დედას, დას და თქვენი მეფის ქალს,
მტერს მისცემ ხელში საუპატიოთ!

5

ელავს, ბრწყინვალებს ჯამი ოქროსი,
ღიმილს აშუქებს ლაშქრის დობილი,
ბევრის გული სძგერს, მაგრამ ქალისთვის,
მხოლოდ ცრთია ნიშანდობლივი.
უცბად გაისმა ბუკის ტკრცალი,
იგი ხეტყვის როხს მიემგვანება...
ხევისთავები, ხევისბერები,
ერს უკითხავენ მეფის ბრძანებას:
— ვინც ხვალის ომში დარჩეს ცოცხალი
და ომიდან არ გამოიტანოს,
ანუ მტრის ხელი, ანუ მტრის თავი...
მოკვდეს ჩემს მიერ, დარჩეს ლიტაო!
— მოკვდეს! — იძახის მთელი ლაშქარი,
აშოებზაროს ორივ თვალები...
— მოკვდეს! ხმაგზნებით გაიძახიან
ციხის ჩარდახზე მდგარი ქალები...
ხმამ შარაველი შეაჟრიალა,
აზრზენით იდგა სახე-ყვითელი...
ჩადგა სიჩუმე... მცფე გამოჩნდა,
წინ მოუძღოდა ჯვარისმტვირთველი...

6

ილოცა პირიმზემ შველის ეკლესია
და ვაზის ხიდით განვლო ოორი...
ქალწულის გული დღეს ეკლებშია,
არ არის ეს დღე მისთვის ოოლი.
ჩუმად ჰკოცნიდა პირიმზის ტუჩი,
ოქროთ მოცვარულ ხახარების ყდას.
ღამით ვერ მოლულა ბინდული წამწამი,
ვერ მიკრულა... ძილი გაუტყდა.
ღვთისშობლის ხატთან ჩუმი ვედრება...
ფიქრებში ღამის ჩამოთეთრება...
გულმა რამდენი ცრემლი აქმია...
იხლე მას მზედავს ოქროლ:გმიანს...
მისს ამაყ სახეს ზარად აწეულს...

და იხევ კრთომა, ფიქრში ტრიალი:
სამშობლო...
მამა...
ბივრიტიანი...

თავი მეოთხე

1

...„და მოვიდა (ყავად) მეფე და შემუსრნა ქალაქნი კამბეჩისანი, და მერამისა ციხე და ველისა ციხე. და ვითარცა მოიწივნეს კახეთად, დაიბანაქეს იორსა ზედა, გარემოს ციხესა ქალაქსა“...

„ქართლის ცხოვრება“

არსად არ დახვდა მტრის ლაშქარს მეფე,
სხვა აქვს განზრახვა და იმედები.
დაე თბილისთან იბრძოლოს ერმა,
თავის კერაზე თავგამეტებით.
ფარულ სანგრებით და ორმოებით,
მტრის გზა ჩახერგა იორის ნაპირად,
წყალთან მოიყვანს, ღონეებს ალრმავებს,
დაყაროს მტერმა, რაც ინადირა!
მემკვიდრე დარჩილ წარგზავნა კახეთს,
— შენ დარჩი, ჩვენ თუ გავიულიტენით!
რუსთავს აბარებს ერისთავს ვარჯანს,
დემეტრეს მისცნა მცხეთის კლიტენი...
შემოიფიცა ფიცით შარაველ,
აღთქმით, მძევლით და თავდებობით.

2

წინამავალი, მეუკანოე,
მოკინკლავე და მიმტევებელი,
არიან: ფარსმან ქართლის სპასპეტი,
გურამ, შარაველ მიტევებული...
თვით შუაგულში მეფე დარჩება,
და ორივ ფრთასაც თვალ განაგებს...
ვნახოთ, ხვალ ძლევა და გამარჯვება,
თუ ვის ბინაზე დაიბანაკებს?...

3

მოდის თბილისზე მტერი ლადურად,
არსად არ შეხვდა გზის დამბორკველი;
მოჰყვა შუბის ტყე, ტყვეთ შესაპყრობად,
სპარსებს ეკიდათ წელზე თოკები...
ნადირის ტყავის შავი ჩაფხუტი...
კარების მხგავსი გრძელი ფარები...
მსხვილბარკლიანი ზუმბერაზები...
ბრბო მოლაშქრეთა არევ-დარევით...
უჯარმის ველზე — სამგორის ველზე,
ხვალ გადაწყდება თბილისის ბედი!..

4

შუაღამეა, მოსჩქერს იორი,
შიგ მოწითალო გამოჩნდა მთვარე...
თემ-თემ დაიწყო ქართლის ლაშქარი,
უჯარმის ზღუდე — კოშკების გარე.
დგანან მემარჯვენედ არმაზელები,
და მემარცხენედ კახთა დროშანი,
მეწინაურედ, მიმსვლელ-მცემელად,
შავშნი და კლარჯნი ცხენოსნობანი,

შიდა ლაშქარში იდგა ვახტანგი,
მტერთან შეხვედრის წუთის დამთვლელი,
წმინდა მეუფე კათალიკოზი
და საყდრეული ახლდა სანთლებით.
პიტიახშები, ერისთავები,
ხევისთავები, სპასალარები,
ზიარებაზე ფიცს ლალადებენ,
მტრის უმოწყალო დაზარალებას!
მეფის მეაბჯრის ჯერიც დამდგარა:
— გაგავ, გულწმინდად ბარძმს ემთხვევი!
— ფიცი რათ მინდა, მე, გულშეწირულს,
ჰნახავთ, როდესაც მტერს შევემთხვევი!

5

ძირს, მტრის ცეცხლის ზღვა იდგა უძრავად,
ჭრელი კარვები ფარშევანგული.
სეფე-კარავში იჯდა კავადი,
ჭრაქზე მოსჩანდა სახე ჟანგური...
თვალით სცელავდა აქეთ და იქით,
ქვას გაადნობდა თვალის ბრიალით...
მის წინ თავხრილი იდგა შარაველ,
ხმალშემოხსნილი, ყელსაბლიანი.
თან ახლდა სამიც სხვა დიდებული,
სამივ კისერზე ხმალკიდებული.
მუხლს ცხვეოდნენ:
— მზის მზევ, მოგვხედე,
სპარსეთის გარე, ქართლს არ აქვს შველა!
ჩვენივე თავნი მძევლად მოგვისხამს,
თუ გიღალატეთ, გაგვწირე ყველა!
ჩვენ გავცემთ თბილისს და გაგიმარჯვებთ,
ვახტანგის თავსაც მოგართმევთ ხვალე!
ოღონდ, წყალობად მოგვეცი ქართლი,
გვიპყარ, გვიმონე და შეგვიწყალე!
— მოგცემ მეფობას, თუ მომცემ თბილისს,
ეტყვის ყაენი თვალით მჩხრეკალი,
და თუ მიმტყუნეთ, ყველას ტყავს დაგხდით,
და თქვენ ტყავს გავტენ ბზით და ეკალით!..
ყველას ჩაჰხედა სულის ძირამდი,
ერთგულებად ხცნო თავგანწირვამდი...

თავი მეხუთე

1

მეფის მეაბჯრე გაგა გულკრთომით,
მთვარის დალევის ჟამს ელოდება
იერის პალაში, დიდ მურყანის ქვეშ,
ჩახავსებული ყორის ლოდებთან.
შუაღამისას მთვარე ჩაქრება
და ღამე შავად აიჯაგრება...
უცბად გაჩნდება ბნელში შარაველ,
გაგას დაადებს მხარზე მარჯვენას:
— ხვალ უნდა ტახტი დაიცლევინო
მეფეს, თუ გინდა ქვეყნად დარჩენა!
მეფის იილის ჯაჭვის ნახევი,
ნიშნეულ იცი, რომ დახელი...
მეფედ გავხდები... შენ მე მახლდები,
ერისთავობის მოგცემ სახელს!
რასაც დაგპირდი, დღესაც გპირდები, —

მოგცემ ჯავახეთს, საჯდომად წუნდას!
მოგცემ დროშას და მოგცემ სახთაულს,
მაგრამ თუ გული ხვალ შეგიძრწუნდა, —
თუ არ მქმენ ნება ჩემი გულისა, —
და თუ დადექი მონავ, უარზე,
ან გადმოგრჩხავ კლდეზედ კოშკიდან,
ან გამოგაბავ ცხენის ძუაზე!
— ნუმც იკადრება გმირის მკვლელობა!
გაგონებაზე ვთრთი ვით ფურცელი...
დღესაც შევხედე მეფეს პირისპირ,
მის თვალთ მუქელვას ვერ გაუძელი!
— ნურავისამც ნუ გაუგონია
საშინელი და მძიმე ამბავი!..
მე ვერ გავწირავ გმირსა და მეფეს,
გინდ გავხდე ველად დასაშამბავი!
შენს ხელმწიფობას მე ვეხვეწები,
ღალატისათვის ნუ მინახულებ...
ფეხქვეშ მოექნა...
— დიდ სისხლს ნუ მადებ,
მეფისთვის დაჭრილს, ნაჭირნახულევს!
— გონს მოდი, სხვები მოჰკლავენ, მაინც,
შესყიდული ჰყავს ყაენს მრავალი...
შენ კი, დაკარგულ დიდებისათვის...
დაგწყევლის შენი შთამომავალი...
დე, ჩემზე იყოს ვახტანგის სისხლი,
განკითხვის დღესაც მე ვუპასუხებ...
მე დაუხვდები შენს მაგიერად,
ჯოჯოხეთის ცეცხლს და ცხელ მარწუხებს!..
მოჰკალ! თუ არა, შენს ერთად-ერთ ვაჟს,
ქუჯას მოგიკლავ მწარ სატანჯველით...
ძელზე დავკიდებ, შანთით მკლავს მოვკვეთ,
ფეხით გავქელიტო ვით ჭიანჭველი!
ო, იცნობს გაგა ეშმაკის ხახნისს,
ო, პიტიახში სულთამხუთავი!
მან ბიძა სპილოს გაასრესინა,
ორად გაკაფა ძმა საკუთარი!
— ხმალი დაგემსხვრას, ტახტი დაგექცეს,
თვალზე სიკვდილი გადაგებუროს!..
ხნარცვში ჩავვარდი, ლომის ყიაში,
ვაიმე, გვარო, გათავებულო!..
ჯერ ჩუმად იდგა ვით ტყე უფრინველო,
მიწას გაეკრა მერე ქვითინით...
ღრუბელს შევარდნის მკერდივით შეკრულს,
ცაზე ჩაექრო ქართლის გვირგვინი...

კარი მეოთხე

თავი პირველი

1

„...და სამ-დღე ყოველთა დღეთა იბრძოდეს და დაეცემოდა, ორთავე სპათაგან ურიცხვი“.

„ქართლის ცხოვრება“

არ იყო კარგად შეთენებული,
ჯერ კიდევ დღეს არ გაეცისმარა,
როცა პირველად, სამგორის ველზე,
გაიზუზუნა სპარსთა ისარმა!
წინ წადგა ცხენით მეფე ვახტანგი,

მისმა გამზერამ აანთო ლაშქარი...
ასწია შუბი,
დაიძრნენ რაზმები,
მოჰქრიან რაშები, აწყვეტილ ავშარით.
ორპირი ნაჯახი, შუბი და ხმალი,
უცბად აინთნენ სიკვდილის ალით.
არმაზის, ჰერეთის, ეგრისის დროშები
ამაღლდნენ ორბივით...
დრო გამოშვებით,
ისმოდა ჩეხის ხმა, ჯავშანზე ჯახანი,
ვით უზარმაზარ სამჭედლოს ძგრიალი.
საომარ ეტლების ისმოდა გრიალი...
ცხენთა ჭიხვინი, ისრის სრიალი...
სპილოთ ღრიალი არყევდა სამგორს,
აქლემის ზმუილი... სიკვდილის ყეფა...
სიკვდილი თავიდან მხდიდა ჩაბალახებს,
უხილავ ლახტით უმსხვრევდა კეფას...
გამხდარა სიცოცხლე ყმად სიკვდილისა,
ქრთამი სიკვდილისა გამხდარა ძვირი...
სისხლით შეწითლდა სამგორის მიწა,
როგორც რთველობაში საწნახლის ძირი...

თავი მეორე

1

ბრძოლის ველს თავზე ბორცვი დამჟურებს,
აყვავებული წითლად და მწვანად...
ფრიალებს ლეჩაქი, ელვარებს ატლასი,
დღეობა არის ბრძოლის დროს განა?
ქართველი დედები, ქართველი ქალები,
საომარ დროშის ქვეშ დგანან!
ქართველი ქალები რომ იდგნენ დროშის ქვეშ,
წესია ძველი, მეფემაც ბრძანა!
თვით კერის დროშები, თვით აკვნის დროშები,
თვით სულის დროშები,—დროშის ქვეშ
დგანან!
ქალარა დედები და ქალწულები,
ქალებს კი არა, ქვის ქანდაკს ჰგვანან!
რამდენი მშვენიერა და ანგელოსი...
აქ სინდისი დგას საქართველოსი!
აქ არი საზღვარი!
ვინ გადალახავს?
უფრო ადვილად დახვდება ლახვარს!...
თრთის ძუძუ დედისა, თრთის გული
ქალწულის...
რას ეძებს სამგორზე ქალების თვალი?
რამდენი იმედი დღეს უნდა გამართლდეს,
და რამდენ ძუძუსი განადლდეს ვალი!
ვინ არ შემოჰხედავს ამ ბორცვის სიწმინდეს,
სხივნაყარ სახეებს, ღმერთებს რომ ჰგვანან!
ქართველი დედები, ქართველი ქალები,
საომარ დროშის ქვეშ დგანან!
მათ შორის პირიმზეც მოსჩანს შველივით,
თავს ჯილა ადგა ფრთააშვერილი,
ლაჟვარდისფერი აცვია კაბა...
ყარყუმის მანტია წამოგდებული...
ამაყად უმზერს ბრძოლის ველს, სადაც,
იბრძვის მხედრობა თავდადებული...

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

იტალიის დემოკრატიული კომუნების წარმომადგენელთა ყრილობა

რომი, 29 დეკემბერი. (საკდესი). 27 დეკემბერს ფლორენციაში შესდგა იტალიის დემოკრატიული კომუნების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც მოწვეული იყო იტალიის უმნიშვნელოვანესი ქალაქების კომუნისტი და სოციალისტი მერების რომში დეკემბრის შუა რიცხვებში შემდგარი კონფერენციის ინიციატივით. ყრილობის საინიციატივო კომიტეტმა ამ დღეებში გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიც ნათქვამია, რომ ყრილობის მიზანია ტრადიციული „დემოკრატიული კომუნების ლიგის" აღდგენა იმისათვის საბრძოლველად, რომ ქალაქების მუნიციპალური ადმინისტრაცია გადააქციოს იტალიაში დემოკრატიის დაცვისა და განვითარების და იტალიის სახალხო მეურნეობის დემოკრატიული აღდგენის უზრუნველყოფის ქმედით იარაღად. როგორც მანიფესტში იყო აღნიშნული, ლიგამ უნდა დაისახოს შემდეგი პრაქტიკული ამოცანები: ბრძოლა კონსტიტუციით სანქციონირებული კომუნების ნამდვილი ავტონომიისათვის, მაგრამ რომელსაც ხვდება უხეში უკანონო წინააღმდეგობა მთავრობის ხელისუფალთა მხრივ, რომლებიც არ ერიდებიან კომუნის საქმეებში პირდაპირ ჩარევას; კომუნების ბიუჯეტისა და საფინანსო ორგანიზაციის გადასინჯვა ღარიბი კლასების სასარგებლოდ; საზოგადოებრივ სამუშაოთა და საბინაო მშენებლობის პოლიტიკის გატარება უმუშევრობის საკითხების გადასაწყვეტად და უსახლკაროთათვის დასახმარებლად.

დემოკრატიული კომუნების წარმომადგენელთა ფლორენციის ყრილობა, რომელსაც შეუერთდა იტალიის სამი ათასზე მეტი დემოკრატიული მუნიციპალური ადმინისტრაცია, მიმდინარეობდა იტალიის სხვადასხვა ქალაქის 1.500 მერის და მასობრივი დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით დეპუტატ ლუიჯი გასპაროტოს თავმჯდომარეობით.

ქალაქ ტურინის მერი ნეგარვილე ყრილობაზე გამოვიდა მოხსენებით „დემოკრატიული კომუნების ლიგის" ამოცანებისა და პროგრამის შესახებ. „ეს ლიგა,—განაცხადა ნეგარვილემ,—უნდა გახდეს მუნიციპალური ავტონომიისათვის, ადმინისტრაციის დემოკრატიზაციისათვის ბრძოლის, მთავრობის იმ ცდების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანო, რომ ჩაახშოს ისეთი კომუნები, რომელთა ადმინისტრაცია მას არ მოსწონს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პესკარაში. არ შეიძლება დავუშვათ გათიშვა კომუნალური ადმინისტრაციების ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ ფუნქციებს შორის".

სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრმა ლუჩო ლუცატომ სახალხო ფრონტის მოძრაობაში ლიგის როლის შესახებ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ 7.500 კომუნიდან 3.300 კომუნას ჰყავს დემოკრატიული ადმინისტრაცია, რომლის სათავეში დგანან კომუნისტები და სოციალისტები.

კამათში გამოსულმა სამხრეთის დემოკრატიული ყრილობის წარმომადგენელმა მარიო ალიკატამ განაცხადა, რომ იმ ქალაქებში, სადაც მუნიციპალიტეტები რეაქციონერთა ხელშია, როგორც, მაგალითად, ნეაპოლში, მოსახლეობამ შექმნა სახალხო კონსულტები და სახალხო ჯუნტები, რომლებიც ახორციელებენ ქმედით საზოგადოებრივ კონტროლს მუნიციპალური ადმინისტრაციის საქმეებზე. ორატორმა დამსწრეებს მოუწოდა გაავრცელონ ნეაპოლის გამოცდილება იტალიის სხვა ცენტრებზე, სადაც მუნიციპალიტეტებში რეაქციონერები ბატონობენ.

ყრილობამ მხურვალე ოვაცია გაუმართა ქალაქ პესკარას მერ ჯიოვანუჩის, რომელიც თავისი პოსტიდან გადაყენებულია შინაგან საქმეთა მინისტრის შელბას ბრძანებით.

ყრილობამ თავის დასკვნით რეზოლუციაში ერთხმად მოიწონა წინადადება ნაციონალური „დემოკრატიული კომუნების ლიგის" შექმნის შესახებ, რათა მან „უხელმძღვანელოს მათს საქმიანობას, მიმართულს კონსტიტუციაში ჩაწერილი პრინციპების უსწრაფესი განხორციელებისაკენ, რომ ავტონომიის პირობებში კომუნები გახდნენ თავისუფლების დამცველები რეაქციის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ, ორგანოები, რომლებიც დააკმაყოფილებენ მოსახლეობის საჭიროებას ხელს შეუწყობენ მუნიციპალური ცხოვრების განახლებას და რესპუბლიკის დემოკრატიის განმტკიცებას".

ყრილობამ მიიღო აგრეთვე რეზოლუცია შრომის, მშვიდობისა და დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტთან აუცილებელი შეერთების შესახებ.

ყრილობამ აირჩია ლიგის დროებითი კომიტეტი ტურინის მერის ნეგარვილეს, ბოლონიის მერის დოცას, არეცოს მერის გრაცის, ფლორენციის მერის ფაბიანის და სხვათა შემადგენლობით.

სააპრესო-კონფერენცია იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტროში

ბელგრადი, 27 დეკემბერი. (საკდესი). იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელმა ბადნევიჩმა პრეს-კონფერენციაზე პასუხი გასცა კორესპონდენტების კითხვებს და განაცხადა, რომ ტრიესტის გუბერნატორის დანიშვნის დაგვიანების მთავარი მიზეზი ის არის, რომ ინგლისელები და ამერიკელები ცდილობენ რაც შეიძლება დიდი ხნით გააჭიანურონ ტრიესტის ოკუპაცია. „სრულიად ცხადია, — სთქვა ბადნევიჩმა, — რომ ინგლისელებსა და ამერიკელებს არა სურთ, რათა საქმე ტრიესტის გუბერნატორის დანიშვნამდე მივიდეს, ვინაიდან ეს იქნებოდა იმ მომენტის მოახლოების მომასწავებელი, როცა ძალაში შევა გადაწყვეტილება ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის დროებითი რეჟიმის შესახებ, რაც ითვალისწინებს დროებითი მმართველი საბჭოს შექმნას და არჩევნების მოწყობას.

ინგლისელები და ამერიკელები ცდილობენ გააგრძელონ თავიანთი ჯარების ყოფნა ტრიესტში, გააგრძელონ ტრიესტის მართვა და არ ზრუნავენ ტრიესტის მოსახლეობის სურვილებისა და ინტერესებისათვის".

ბადნევიჩმა უპასუხა იმ კითხვაზე, რომ იუგოსლავიის მთავრობამ მოითხოვა გადაეცეს მას იტალიელი სამხედრო დამნაშავეები ტადეო ორლანდო და აკილე მარაცა, რომელთაც ამჟამად იტალიაში დიდი თანამდებობანი უკავიათ, და განაცხადა:

იუგოსლავიის მთავრობამ თავისი საელჩოს მეშვეობით რომში 18 დეკემბერს იტალიის მთავრობას მოსთხოვა გადასცეს მას სამხედრო დამნაშავეები ტადეო ორლანდო და აკილე მარაცა. იტალიის დივიზიის გენერალი ორლანდო —ამჟამად სამხედრო სამინისტროს გენერალური მდივანი, და მარაცა — იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე— სამხედრო დამნაშავეები არიან და, როგორც ასეთები, ლონდონში გაერთიანებული ერების კომისიის მიერ შეტანილი არიან სამხედრო დამნაშავეთა სიებში.

ორლანდო 1942 წლის ბოლომდე მეთაურობდა იტალიის დივიზიას „გრანატიერი დი სარდენია", რომელიც სლოვენიაში იმყოფებოდა, და დროებით ასრულებდა იტალიის საოკუპაციო ჯარების მე-11 საარმიო კორპუსის მეთაურის მოვალეობას. აღნიშნულმა ნაწილებმა ორლანდოს მეთაურობით უთვალავი სამხედრო დანაშაულობა ჩაიდინეს, რისთვისაც სრული პასუხისმგებლობა ორლანდოს აკისრია.

ორლანდოს ბრძანებით საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს ქალაქ ლუბლიანის მამრობითი სქესის შრომისუნარიანი მოსახლეობის მესამედი. დივიზიამ „გრანატიერი დი სარდენია" 1941 წელს გადასწვა ასობით სახლი, მოსპო ათობით სოფელი; მხოლოდ 1942 წლის 5 მაისიდან 30 ივნისამდე ორლანდოს მეთაურობით და მისი ბრძანებით დახვრიტეს 118 მძევალი; 1942 წლის 31 ივლისიდან 1 აგვისტომდე ამავე დივიზიამ დახვრიტა 537 ტყვე პარტიზანი. დრეჟნიკ-იასენაკის ოლქში ოპერაციის დროს ჯარისკაცებმა ორლანდოს მეთაურობით მთლად გადასწვეს დრეჟნიკი და ბევრი ახლომახლო სოფელი, დააპატიმრეს და საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს 3.600 კაცი.

სამხედრო დამნაშავე, იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე მარაცა, იტალიის არმიის 23-ე ქვეითი პოლკის „კომოს" მაიორად ყოფნის დროს, მონაწილეობას იღებდა ბევრ სამხედრო დანაშაულობაში. 1942 წლის 23 ივლისს პოლკმა „კომომ" დასწვა სოფელი ხრასტი მეტლიცეს ახლოს, 26 ივლისს დასწვა კიდევ ექვსი სოფელი, 7 აგვისტოს — სოფელი ბოიანა.

1153 კაცი გაგზავნილ იქნა საკონცენტრაციო ბანაკებში. მარაცა, როგორც პოლკის მეთაურის ადიუტანტი, უშუალო მონაწილეობას იღებდა სამხედრო დანაშაულობებში, ამოწმებდა შესრულებას და ცნობებს იძლეოდა ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ.

მარტო 1942 წლის 6 აგვისტოდან 1943 წლის 16 მარტამდე პოლკის მეთაურის ბრძანებით და მარაცას კონტროლით დახვრეტილ იქნა 57 ტყვე პარტიზანი და სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლი.

ყველა მოყვანილი ფაქტი ბადნევიჩმა დაამტკიცა დოკუმენტების დედნებით, რომლებიც დამსწრე კორესპონდენტებს გადასცა გასაცნობად. ამ დოკუმენტთა შორის იყო ორლანდოს საკუთარი ხელით დაწერილი მოხსენება იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიისა და პარტიზანული რაზმების სამხედრო ტყვეების დახვრეტის შესახებ, მარაცას მოხსენება რამდენიმე სოფლის მოსპობის შესახებ და სამხედრო დამნაშავეთა მამხილებელი სხვა დოკუმენტები.

„იუგოსლავიის მთავრობისათვის აღნიშნულ სამხედრო დამნაშავეთა გადაცემის მოთხოვნის სამართლიანობა ცხადია,—სთქვა ბადნევიჩმა, — საზავო ხელშეკრულების საფუძველზე იტალიამ უნდა უზრუნველჰყოს სამხედრო დანაშაულობის ჩამდენი ყველა პირის დაპატიმრება და სასამართლოსათვის მათი გადაცემა.

იუგოსლავიის მთავრობა საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ მოითხოვს რამდენიმე ცნობილი სამხედრო დამნაშავის გადაცემას. იგი მოითხოვს აგრეთვე ამ ორი დამნაშავის გადაცემასაც და იმ ვალდებულებათა უსიტყვოდ შესრულებას, რომლებიც საზავო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარეობენ".

მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი ქუთაისში

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტთან შეიქმნა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი, რომელსაც აქვს ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტები.

უნივერსიტეტში ჩარიცხულია 200 მსმენელი — პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირული მუშაკები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

უნივერსიტეტის დირექტორია წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ი. კუბლაშვილი.

გ. მეფისაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ქ ა ლ ა ქ ო ნ შ ი

კულტურის სახლის გახსნა

1946 წელს დაიწყო კულტურის სახლის ახალი შენობის აგება. მშენებლობა მიმდინარე წლის დეკემბერში დამთავრდა. სახლი ლამაზადაა გაფორმებული და 44 ოთახისაგან შესდგება. აქ არის მოთავსებული რაიონის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა უმეტესი ნაწილი. შენობას აქვს ლამაზი დარბაზი, რომელიც 350 მაყურებელს იტევს, და კარგად მოწყობილი სცენა.

21 დეკემბერს, მოხდა კულტურის სახლის საზეიმო გახსნა. საზეიმო სხდომის შემდეგ, კულტურის სახლთან არსებულმა დრამატიულმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ა. წერეთლის „პატარა კახი".

ზვარეთის ჰიდროელსადგური

დეკემბერში დამთავრდა ზვარეთის ჰიდროელსადგურის მშენებლობა. სადგური უკვე გადაეცა საექსპლოატაციოდ. ელექტროსადგურმა გაანათა ქალაქი ონი და რაიონის 11 სოფელი.

კრამიტის ქარხანა

რაიონის ცენტრში დამთავრდა ადგილობრივი მრეწველობის კრამიტის ქარხნის მშენებლობა, რომელმაც პირველი პროდუქცია უკვე გამოუშვა.

ა. გეწაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ახალი საცხოვრებელი უბანი ტყიბულში

ტყიბულში შენდება მუშათა ახალი საცხოვრებელი უბანი. მუშათა საერთო საცხოვრებელი 88 ოთახით, 11 აქციური სახლი, საშუალო სკოლა 880 მოსწავლისათვის, საბავშვო ბაგა და ბაღი, სასპორტო მოედანი და სხვ.

წელს დაიწყო და მთავრდება სამი ორ-ორსართულიანი საცხოვრებელი ბინის მშენებლობა. მომავალ წელს აიგება საერთო საცხოვრებელი.

„ხილის მოსავლის მოვლა"

ხილის მოსავლის წესიერად აღებას და მის შემდგომ დამუშავებას ეხება დოცენტ პ. კაჭარავას ახალი ნაშრომი „ხილის მოსავლის მოვლა", რომელიც გამოსცა შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა.

წიგნის ავტორი აშუქებს ხილის დამწიფების განსაზღვრის საკითხს, კრეფის წესებს, მოკრეფილი ხილის დახარისხებას, შეფუთვას, გაგზავნასა და შენახვას და სხვ.

პ. კაჭარავას წიგნი დახმარებას გაუწევს, როგორც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებს, ისე მეხილე აგრონომებს.

მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის

(ოცი წლის გამოშვება)

წ[illegible] გამოშვების მოგებათა 32-ე ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი შესდგა 1947 წლის 4 დეკემბერს ქალაქ მოსკოვში. მოგებანი ხვდათ სესხის [illegible] ბელი გამოშვების ყველა 74 თანრიგის სერიისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს.

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
60138	37*)	500	69922	16*)	[illegible]
60352	10*)	500	69998	18*)	[illegible]
60478	30*)	1,000	70027	1—50	[illegible]
60740	03*)	500	70137	34*)	[illegible]
60916	1—50	200	70248	1—50	[illegible]
61120	18*)	500	70285	1—50	[illegible]
61299	06*)	500	70416	09*)	[illegible]
61497	11*)	500	70442	40*)	[illegible]
61563	17*)	500	70524	12*)	[illegible]
61716	15*)	500	70578	31*)	[illegible]
61769	07*)	500	70614	47*)	[illegible]
61919	1—50	200	70679	33*)	[illegible]
62005	28*)	500	70782	1—50	[illegible]
62049	07*)	500	70982	1—50	[illegible]
62314	1—50	150	71039	45*)	[illegible]
62353	43*)	500	71099	03*)	[illegible]
62371	42*)	500	71126	17*)	[illegible]
62452	1—50	200	71484	14*)	[illegible]
62492	1—50	200	71516	34*)	[illegible]
62978	01*)	500	71641	29*)	[illegible]
63021	1—50	150	71691	41*)	[illegible]
63418	37*)	500	71712	37*)	[illegible]
63551	19*)	500	71727	08*)	[illegible]
63680	08*)	500	71840	14*)	[illegible]
63711	18*)	500	73207	38*)	[illegible]
63757	18*)	500	73209	07*)	[illegible]
63994	37*)	500	73271	08*)	[illegible]
64000	1—50	200	73760	1—50	[illegible]
64040	14*)	500	73810	10*)	[illegible]
64161	50*)	500	74009	49*)	[illegible]
64328	1—50	200	74105	25*)	[illegible]
64436	41*)	500	74621	37*)	[illegible]
64501	1—50	200	74631	19*)	[illegible]
64533	44*)	500	74667	26*)	[illegible]
64550	23*)	500	74732	32*)	[illegible]
64831	1—50	200	74759	02*)	[illegible]
65268	1—50	150	75064	17*)	[illegible]
65413	05*)	500	75103	38*)	[illegible]
65626	43*)	500	75116	1—50	[illegible]
65719	21*)	500	75490	1—50	[illegible]
66028	1—50	200	75647	45*)	[illegible]
66101	38*)	500	75779	04*)	[illegible]
66309	03*)	500	75854	21*)	[illegible]
66445	26*)	500	75861	33*)	[illegible]
66464	1—50	150	75910	1—50	[illegible]
66566	1—50	200	76012	05*)	[illegible]
66705	02*)	500	76198	1—50	[illegible]
66758	1—50	200	76221	43*)	[illegible]
66769	25*)	500	76368	1—50	[illegible]
66859	1—50	150	76529	33*)	[illegible]
67089	1—50	200	76573	06*)	[illegible]
67244	1—50	200	76879	29*)	[illegible]
67308	37*)	1,000	76985	34*)	[illegible]
67353	41*)	500	77367	1—50	[illegible]
67546	48*)	500	77416	11*)	[illegible]
68059	10*)	500	77600	28*)	[illegible]
68360	1—50	200	77631	31*)	[illegible]
68102	22*)	500	77709	1—50	[illegible]
68107	10*)	500	77800	43*)	[illegible]
68212	1—50	150	78008	17*)	[illegible]
68263	20*)	500	78036	22*)	[illegible]
68276	26*)	500	78101	28*)	[illegible]
68770	1—50	200	78266	1—50	[illegible]
68953	27*)	500	78368	37*)	[illegible]
69318	1—50	150	78407	15*)	[illegible]
69322	1—50	150	78498	17*)	[illegible]
69430	34*)	500	78756	28*)	[illegible]
69546	34*)	500	78849	49*)	[illegible]
69601	1—50	150	78886	38*)	[illegible]
69607	13*)	500	78915	09*)	[illegible]
69777	1—50	200	79363	17*)	[illegible]
69797	1—50	200	79379	09*)	[illegible]
69920	08*)	500	79556	15*)	[illegible]

*) ამ სერიის ობლიგაციათა დარჩენილ 49 [illegible] მერს ხვდა 150 მანეთი მოგება თითოეულს.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე **დ. ვ. ნოვოდვორსკი**

სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ლ. ა. ვასილიევი**

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩრდილო შენსი, 29 დეკემბერი. (საკდესი). სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სარდლობის 27 დეკემბერს გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ გომინდანელთა ჯარების გარემოცვა, რაც ექვსი დღის განმავლობაში, 13-19 დეკემბერს სწარმოებდა, წარმატებით ხორციელდება სახალხო განმათავისუფლებელი არმიის რაზმების მიერ ჩინეთში სამოქალაქო ომის ფრონტის სამხრეთ უბანზე. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სამი დიდი შენაერთი შეერთდა ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის რაიონში. გომინდანური სამხედრო ხისტემა ცენტრალურ ფრონტზე ბრძოლის ყველაზე მნიშვნელოვან უბნებში დეზორგანიზებულია. მოსპობილია 20 ათასი გომინდანელი ჯარისკაცი, დანგრეულია 450 კილომეტრზე მეტი ორი სტრატეგიული რკინიგზა და აღებულია 23 ქალაქი გომინდანის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე. ამ ბრძოლებში გომინდანის ჯარებმა დაჰკარგეს დროებითი 24-ე დივიზიის მეხუთე ბრიგადა, პირველი საკავალერიო ბრიგადის მეტი ნაწილი და რეორგანიზებული მე-5, მე-40, 41-ე და 28-ე დივიზიების ნაწილები.

მე-5 ბრიგადის მეთაური ფუ მინი და „დამშვიდების კორპუსის" მეთაურის მოადგილე გენერალ-მაიორი ლინ ბეი-ჩაო ტყვედ არიან წამოყვანილნი.

სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა დაიბრუნეს ოთხი ქალაქი, რომლებიც ხუბეი-ანხუეის პროვინციების საზღვარზე მდებარეობენ, სახელდობრ ტაიხუ, სუსუნი და ინშანი, აგრეთვე დაიბრუნეს მთელი ტერიტორია ანხუეის პროვინციის დასავლეთ ნაწილში, ქალაქ იუნშის რაიონში.

შანდუნის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გომინდანური ნაწილები, რომლებიც დიდ არხს იცავენ, გაანადგურეს სახალხო-განმათავისუფლებელი ჯარების ადგილობრივმა ნაწილებმა, რომლებმაც არხის ნაპირზე დაიკავეს ოთხი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი.

მთავრობის კრიზისი ირანში

თეირანი, 29 დეკემბერი. (საკდესი). თეირანის რადიოს ცნობით, დღეს იბრაჰიმ ჰაკიმიმ შაჰს წარუდგინა თავისი კაბინეტის წევრები შემდეგი შემადგენლობით: იბრაჰიმ ჰაკიმი — პრემიერ-მინისტრი, მოჰამედ საჯადი — ნაციონალური ეკონომიკის მინისტრი; მოსტაფა ადლი — უპორტფელო მინისტრი, ალი ეკბარ სიასი — განათლების მინისტრი; დოქტორი სადიღ მალექი — ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი; ნაჯმი — ფინანსთა მინისტრი; გენერალი ფარაჯულა აღ-ოვლი — შინაგან საქმეთა მინისტრი; გენერალი მორთაზა ეზდან-პენახი — სამხედრო მინისტრი; მოჰამედ სორური— იუსტიციის მინისტრი; მოჰამედ ალი ვარესტე — ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი. საგარეო საქმეთა მინისტრი და მიწათმოქმედების მინისტრი უფრო გვიან დაინიშნებიან.

იდენი ირანს გაემგზავრა

ლონდონი, 29 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო გადმოგვცემს, ინგლისის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი გუშინ ლონდონიდან ირანს გაფრინდა.

გლეხთა მდგომარეობა ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 28 დეკემბერი. (საკდესი) გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" აქვეყნებს ცნობას ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში (გერმანიის ოკუპაციის ინგლისური ზონა) გლეხთა მდგომარეობის შესახებ.

სამხრეთ ოლდენბურგსა და ოსნაბრიუკის რაიონში, — სწერს გაზეთი, — სოფლის მეურნეობაში დღემდე შენარჩუნებულია ეკონომიური სისტემა, რომელიც თითქმის არ განირჩევა ბატონყმობისაგან. ამ რაიონებში არსებობს იჯარის სისტემა, რომლის დროსაც მოიჯარემ, საიჯარო ფასის გარდა, განსაზღვრული დროის განმავლობაში მეპატრონისათვის უნდა იმუშაოს. მარტო ოსნაბრიუკის რაიონში ეს სისტემა ეხება 20 ათას გლეხს, რომლებიც პოლიტიკურად და ეკონომიურად დამოკიდებული არიან თავიანთ მემამულეებზე და მათთან დაკავშირებული არიან ხელშეკრულებებით, რომლებიც ხშირად საშუალო საუკუნეების დროს მოგვაგონებენ. ეს ნახევრად მოიჯარენი — ნახევრად ყმები მემამულეებისაგან იღებენ პატარა ძველ სახლს, რომლითაც, როგორც წესი, ორი ოჯახი სარგებლობს. გარდა ამისა, მემამულე მათ აძლევს სამ-ოთხ ჰექტარ მიწას ხელშეკრულებით გლეხი მოვალეა მემამულისათვის 6 დღეს იმუშაოს კვირაში. სამუშაოს შესრულებაზე უარის თქმა იწვევს ჯარიმას ორი დღის ხელფასის რაოდენობით.

ბრძოლა საბერძნეთში

ბელგრადი, 29 დეკემბერი. (საკდესი) თავისუფალი საბერძნეთის რადიოსადგურის ცნობაში ნათქვამია, რომ დემოკრატიული არმიის იმ ნაწილებმა, რომლებიც რუმელიის შტაბს ემორჩილებიან, დაიკავეს სოფელი პოლეოხორი პარნასიდის მახლობლად და ხელთ იგდეს სამი სატვირთო მანქანა პროდუქტებიანად. დადივრალესის გზატკეცილზე დემოკრატიული არმიის ნაწილებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის კოლონაზე. მთავრობის ჯარებმა, რომელთაც დიდი ზარალი მოუვიდათ, უკან დაიხიეს საწყის პოზიციებზე.

18 დეკემბერს ამ შტაბის ნაწილები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგეს კალიოს ხეობაში, დორიდის მახლობლად. მონარქისტ-ფაშისტებს დიდი ზარალი მოუვიდათ მოკლულთა და დაჭრილთა სახით.

დემოკრატიული არმიის სხვა ნაწილები შეტევითი ოპერაციების დროს მთავრობის ჯარებს შეეჯახნენ სოფელ კასტელიოსთან, პარნასიდის მთიან ნაწილში. ბრძოლის შედეგები ჯერ გამოურკვეველია. 7-9 დეკემბერს რუმელიის შტაბის ნაწილები თავს დაესხნენ გორგოპოტამოსს (ლამიის სექტორი).

ს ა მ გ ო რ ი

(გაგრძელება)

ხან დამკრთალია, შეშინებული,
სასტიკ გრიგალში ლერწამს ედრება,
ლამის გაგლიჯოს გულმა ხაზმური,
ცრემლით მაცხოვრის ხატს ევედრება:
— ძეო ღვთისაო, აღიდე ვახტანგ,
ნათლით გაგვიხსენ გზა დახურული!
დიდო ლომისო, შენ გაგვიმარჯვე,
დღე არ ჩაგვიქრო გაზაფხულური!

თავი მესამე

1

ყაჯირის ფრთიან ისრებით,
წვიმასი იწყო ბაერმა...
მწყურვალე ლომის ყივილით,
ლაშქარს შესძახა ყაენმა.
— ვიდრე თასს მიაწოდებდნენ,
მოუკლეს პირიმ მეღვინე!
გახარებულმა ქალებმა
ბორცვზე ერთმანეთს შეღიმეს!
— სპარს ცხენოსანთა სპასპეტი,
ცხენიდან გადაიხარა,
დახარჯა მთელი კაპარჭი,
ჯავრი ვერ ამოიყარა!..
— როგორ გახშირდა ბუკის ხმა,
უმხედრო ცხენთა ჭიხვინი...
ხელში ხმლით ბივრიტიანი,
ლაშქრის წინ დადგა ჯიხვივით...
— ვისია რაში გამოქროლილი,
ფარჯანიანი წელან ეიცანი!
ეპირა ხმალი მოოქროვილი,
გორგასლიანთა შესაფიცარი...
გაუნგრევიათ გულის ფიცარი!
იტირე ცოლო, ვეფხვი ფრთიანი,
იგლოვე კაბა ფერადიანი!..
— მხედავ, ჯუანშერ ჯუანშერიანს, —
მეფის ბუმბერაზს ზავთი დაიდო...
მან ოთხი სპარსი მოკლა ხატევრით,
მეხუთეს თავი შეაკლა თვითონ!
— ჯიქურის ცხენს გაგიჟებულს,
ჩაუვარდა ხვრელში ფეხი!
ხიხა თავზე დააჩეხეს,
დაადინეს სისხლის ზხეფი!
— ამულახტარს ლახტი დაჰკრეს,
თითქოს მეხი მოხვდა ციდან!
და პერანე შავლაღიანს
ხელი ხმალზე შეაცივდა!
— დაიტირეთ დიდისერთა
გორგასალის ლომი გორდა!
მოჰკლეს ბორტვა ალასტნელი,
თავი ცხენქვეშ გაუგორდა!
— ცხენის ტახტას დაეკიდა
ტოხაიძე, მეფის მცველი!
სხეულში ხად დაეტია
ნისლაურას ისრის წვერი?
— შუა ომში დაემწყვდია
თერგაული მარტო მდგარი,
მტერს ხმალი ზედ მიანაჯა,
მიამტვრია თავზე ფარი.
— რკინის ლახტი ექვსფრთიანი,
ხპარს ახისთავს, მეტის ძალით,
ხაბეჯურზე დაჰკრა ქუჯამ,
დაუმსხვრია ზურგის ძვალი!
— ცხენმოკლულს და ისარცემულს,
დაეხმარეთ ბერ ფიწალეს!
— ის გადაჯდა სპარსის ცხენზე,
ფასკუნჯის ფრთას ისვრის მწარეს!
— ვაშა იმხნელს! მოხერხებით,
ხპარს ბუმბერაზს, შეეტყუა,
ყელს ქამანდი გარდააცვა,
გამოაბა ცხენის ძუას...
— კავადის ცხენს დაეხალნენ
ლომშერი და ჯუანშერი...
მაგრამ შუბი დაუშინეს,
ფარგახეთქილს ვინ უშველის?
— თითქოს გული შემოებრწნა
კავადს, ადევს ფერი მკვდარის...
ცხენხს ჯლეხამ გაუხზარა
კვირისტავი, მუხლისტარი...

2

სჩქეფს წითელი წარღვნის წყალი.
სისხლში ლბება ქართლის ხმალი...
შუღლით ჩხუბობს შუბის ენა,
გრგვინავს მიწა ნაოხრალი.
ბრწყინავს ოქროს ჩაბალახით,
გორგასალი, — ომის ღმერთი!
ყველა განთქმულ მშვილდოსანზე,
ისარი აქვს მტკავლით მეტი.
კაცის მკლავის სისხო შუბით,
გადაანგრევს რაზმთა ზღუდეს,
იძახის და ხმით მტერს ჰზარავს,
და გულხრულად კავადს უტევს.

3

იცნეს მეფე სპარსთ ბანაკში,
დგრიალით და დიდი ზარით, —
ელდასავით წამოვიდა
ასი ოქროს შუბოსანი...
მათ გურამი მიეგება,
შუბს აუკრა ფიცხად ფარი.
მთლად მოფშვნიტა მისმა რაზმმა
მეშუბართა დასტიდარი...

4

მკრია ჯაჭვის ნაგლეჯები
და ნამტვრევი შუბის ტარი...
მუზარადის ნალეწები,
ჩაჩქნის რგოლი ნალახტარი...
ბევრი მტვერში გაერია
ბუმბერაზი უებარი,
მაგრამ ვერვინ ვერ გასდრიკა
მეფის ხელში ვიგრის ფარი...

5

და უეცრივ, ხევბიდან,
წამოვიდა ისრის წვიმა...
სიკვდილი ვინ გადმოწვიმა?
ვერას ხედავს მტერი წინა,
საკუთარი სისხლით მთვრალი,
მხედავს მხოლოდ ყორნის თვალი...
სწვავს ტყეს მტერი, ჰკაფავს, ჰლეწავს,
შემმუსვრელი და მოძალე.
და ხევზე ჰხედავს ქალებს —
ისრის მტყორცნელ ამორძალებს,
ვერ იპერენ ვერც ერთს ტყვედა,
ვერ ჰხედავენ ვერც ერთს მხვეწარს,
მაგრამ ქალთა ძუძუს სისხლი,
შეესხურა ივრის ძეწნარს.
მათ ბერდედა წინამძღვრობდა,
შეჰკივლებდა ხიდან ხშირად...
ხალხო, რისთვის დაივიწყე,
ვინც სახელი დაგასხივა!

6

ცა დიდ ვარსკვლავმა გახერა,
მოირღვა მწარე ტკივილით.
უჯარმის კოშკში გაისმა
შუაღამისას კივილი:
— თმა რაღად გამაწეწინე,
თუ სიხარულად მინდოდი?!
მთვარემ ნათელით მობლარდნა
დანაბინდარი მინდორი...

თავი მეოთხე

1

ვინ გაიგებს მეფის ცნაურს,
მისი აზრი რა ფრთას ისხამს?
ფიქრობს მეფე: მე ხვალ სისხამ,
კავადს გულმკერდს მოუსისხლავ!..
სხვა ფიქრებში არის გაგა,
ზხამში ავლებს თავისს ისარს;
ხვალ გულმტკიცედ შეასრულებს,
შარაველის დანაკისრალს.

2

ჯანღ-ალანდულ ცის კუთხეში,
ნათელი ჩნდა ერთი ციდა,
ნაცისკრევზე ჩუმი ღიმილით,
შავი ნისლი ნამცვრევს სცრიდა, —
როცა მთიდან, გორგასალის
სპა-ლაშქარი, როგორც ღვარი,
ჩამოეშვა სპარსთა ბანაკზე...

ხმალამართულ—წინამძღვარით!
იჯდა მეფე ზერდაგ ცხენზე,
ერთ კარვისკენ გამზირალი...
სისხლს ძარღვებში უღელებდა
ნაღარის ხმა და ზრიალი...
ცეცხლი დუღდა ცხენის ტანში,
და იხროდა ალმურს თვალი...
მეფის ხმალი ვის ეძებდა,
უხსოვარჯერ სისხლით მთვრალი!..

3

წინ გამოესწრო ლაშქრისთვის ვახტანგს,
ჩამორჩენოდა ყველა მხლებელი.
თან ახლდა მხოლოდ გაგა მეაბჯრე,
შუბის და ისრის მიმწოდებელი.
ცხენი მიაგდო კავადის კარავს,
რომ აეჩეხა შიგვე კავადი!
ყაენს გაესწრო, მეჰკვიდრე მისი,
მეფეს შემოჰხვდა უმუზარადო.
ელდურის დარტყმით ჩახჭრა ბეჭამდის
მეფემ, კავადის ვაჟი ბარტამი!
უცბად, მეფის წინ, ხმლით აღმართა
შამის მეჯავშნე იაზატამი.
მეფემ სისწრაფით აუკრა მახვილს...
შეთრთოლდა სპარსი გულბორგნეული...
რა დაინახა ხმალი მეფისა,
მეჯავშნის თავზე შემოქნეული, —
ზურგთუკან შვილდი მოზიდა გაგამ,
მკლავი გაშალა დახამიწარი
და ხმალამართულ ვახტანგს შესტყორცნა
ჯაჭვის ნახევში ბასრი ისარი...
წამს მოიხედა მეფემ შმაგურად,
რომ დაენახა ისრის მსროლელი,
თვალი ვერ შეჰკრა...
ხაილიდან,
ჯაჭვს ჩამყვებოდა სისხლის ზოლები.
წაიბარბაცა, მკლავი დაუშვა,
არ დაცემულა ფერნამკრთალევი,
მხოლოდ დამძაბულ, არწივულ მზერით,
შემოაფეთა გაგას თვალები.
აყვირდა გაგა, იშენდა თავში:
— მეფე დაგვიჰრეს, გაგვიწყრა ჯვარი!
ყბა გადუკეტა მეფემ ხელებით:
— მონავ, დაჩუმდი, შედრკება ჯარი!

4

ჯერ ვერ შეეტყო მტერს მეფის დაჰრა,
გამხარებელი მისი ამბავი.
არც ერთი სპარსი მეფის მახლობლად,
არ დარჩენილა დაუკაფავი...
ფარებისაგან შეკრულ საკაცით,
ძლივს გაიყვანეს მეფე დაჰრილი...
რკინისფერ სახით ახლდნენ მხლებლები,
თითქოს გულს ჰქონდათ შუბი გაჩრილი.

(გაგრძელება იქნება)

კ ი ნ ო ე ბ შ ი

31 დეკემბერს: რუსთაველის სახელობის— „მარიტე"; **„ოქტომბერი"** — „აკაკის აკვანი"; **„კომკავშირელი"** — „გაზაფხული"; **„სპარტაკი"** —„კოლხიდის ჩირაღდნები"; **26 კომისრის სახელობის** — „აკაკის აკვანი" — (I დარბაზი), „მიკლუხა მაკლაი" (II დარბაზი); **„კოლმეურნე"** —„დარიკო".

თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

31 დეკემბერს: ფალიაშვილის სახელობის— „აბესალომ და ეთერი"; რუსთაველის სახელობის — „ერთი ღამის შეცდომები"; მარჯანიშვილის სახელობის — „1917 წელი".

პასუხისმგებელი რედაქტორი **გ. ნანიტაშვილი**

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება ორშაბათს, 1948 წლის 5 იანვარს, აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქუჩა № 1) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის **გ. ნანიტაშვილის** ლექციას თემაზე: **„სოციალისტური საკუთრება საბჭოთა წყობილების საფუძველია".**

ლექციის დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება მუზეუმის სალაროში საღამოს 6-დან 9 საათამდე და „აკადემიური წიგნის" მაღაზიაში (რუსთაველის პროსპექტი № 19) დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 5 საათამდე. კოლექტიური განცხადებები მიიღება ტელეფონით № 3-55-22.

მეუღლე ანო, შვილები რობერტ, გენო, რძალი არუსიაკა, სიძე შოთა მიქაძე და შვილიშვილები იუწყებიან **კარაპეტ გასპარის-ძე გალუსტოვის** გარდაცვალებას. გამოსვენება 31-XII, 5 ს. საიათნოვას, 13.

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან აკადემიკოს ვ. თოფურიას დედის **ელისაბედ თოფურიას** გარდაცვალებას.

მეუღლე ვერა, შვილები ჯიმერ, ზაური უგრეხელიძეები, სანდრო, ქეთია ქემოკლიძეები ვასილ ენუქიძე იუწყებიან **ნიკოლოზ ხიმონის-ძე უგრეხელიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-I, 7 ს. გამოსვენება 4-I, 2 ს. მლეთის, 8.

მოქალაქე **ივანე ესტატეს-ძე ხირხელაძე** [illegible] ცხოვრებმა ბარნოვის ქ. № 26, აღძრა [illegible] მე კამოს ქ. № 91 მცხოვრებ მოქალაქე [illegible] **თევან გრიგოლის ასულ კვანტრაშვილი** [illegible] **ხირხელთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის „სტალინის რაიონის" მე-5 უბნის სახალხო სასამართლო.

მშობლები პაპუ, რაქდენ, დები ვალია, [illegible] ნია შვილებით, ძმა ვახტანგ ფიჩხაიები, [illegible] ძე ევგენ იმნაძე იუწყებიან **ვენერა რაჟდენის ასულ ფიჩხაია-ურიდიას** გარდაცვალებას [illegible] დაკრძალვა ზუგდიდში 4-I.

ა. მ. შტეინბერგის და კარახანიანის [illegible] იუწყება შვილის, შვილიშვილის და [illegible] ლის ვოვოჩკას გარდაცვალებას. გამოსვენება 31-XII, 4 ს. გრიბოედოვის, 13.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 110,000

უე 109[illegible]